საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 5/00 „11" მარტი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ი. ფოცხ.

ია გოცირიძე

11 მარტი

„--------"----------" 2011 წელი

ეგზ.N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი მაუწყებლის" საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის

შესახებ

შინაარსი/საძიებელი

	გვერდი
შესავალი	2
აუდიტორთა დასკვნა	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3

აუდიტორის პასუხისმგებლობა
უარყოფითი დასკვნის საფუძვლები
დასკვნა

დასკვნა შესაბამისობაზე 4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონთან შესაბამისობაზე
აუდიტორის პასუხისმგებლობა
უარყოფითი დასკვნის საფუძველი
დასკვნა
მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

მაუწყებლის საქმიანობის ზოგადი აღწერილობა 9

მაუწყებლის 2007, 2008 და 2009 წლების ბალანსი 10

მაუწყებლის შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიში 11

მაუწყებლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიში 11

შენიშვნები 12

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი 42

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები 42

შესავალი

საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 5 მარტის №23/43, 7 მაისის N52/43 და 16 ივნისის N64/43 ბრძანებები.

აუდიტის ჯგუფის წევრები - საქართველოს კონტროლის პალატის (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) მთავარი აუდიტორი ნოდარ ვეკუა (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორები ბესიკ ფერაძე და მირიან ჯორჯიაშვილი.

აუდიტის პერიოდი - 2007 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელის“ იურიდიული მისამართი - საქართველო. 0171 ქ. თბილისი, კოსტავას N68 ტელ: (+995 32) 409 377; ფაქსი: (+995 32) 409 115 www.gpb.ge

შემოკლებანი:

1. სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი " - მაუწყებელი;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;
4. მიღება-ჩაბარების აქტი – მ/ჩ აქტი;
5. ანგარიშ-ფაქტურა – ა/ფ;
6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - შესყიდვების სააგენტო;
7. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება - ხელშეკრულება.

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორთა დასკვნა

სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი"

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2007, 2008 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც მოიცავს საბალანსო ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღების მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის, კაპიტალში ცვლილებებს და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებისა და ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე. აუდიტი ჩავატარეთ იმდაგვარად, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის ისე დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას

მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

უარყოფითი დასკვნის საფუძვლები

როგორც ეს განხილულია აუდის აქტის №3.1 შენიშვნაში აუდიტის პერიოდის ანგარიშგებებში არ არის ასახული ვალდებულებები ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) მიმართ, ასევე არ არის ანგარიშგებებში ასახული დასარიცხი საურავები შენიშვნა №6.1 და ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისები-შენიშვნა №2.1, ხოლო 2009 წელს, 2008 წლის ვალდებულებები არასწორადაა დაფინანსებული და ასახული ანგარიშგებებში როგორც ეს განხილულია აუდიტის აქტის №8.8 შენიშვნაში.

დასკვნა

ჩვენი მოსაზრებით, 2007, 2008 და 2009 წლების საბიუჯეტო წლებზე შედგენილი ფინანსური ანგარიშგებები, წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით სამართლიანად არ ასახავენ საზოგადოებრივი მაუწყებლის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

დასკვნა შესაბამისობაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონთან შესაბამისობაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან ერთად, ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმასთან ერთად, ჩვენი პასუხისმგებლობაა გამოვთქვათ მოსაზრება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე, რაც გულისხმობს აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ყველა არსებით ასპექტში. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

პირობითი დასკვნის საფუძვლები

როგორც ეს განხილულია აუდიტის აქტის 8.5 შენიშვნაში, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები 2007, 2008 და 2009 წლებში არ არის შესაბამისობაში შესაბამის პერიოდებში მოქმედ კანონმდებლობასთან.

დასკვნა

ჩვენი აზრით, გარდა წინა პარაგრაფში განხილული საკითხებისა ოპერაციები, რომლებიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში 2007-2009 წლებში შესაბამისობაშია შესაბამის პერიოდში მოქმედ კანონმდებლობასთან.

მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

დასკვნის გაცემის გარეშე, გვინდა ცალკე ავღნიშნოთ ქვემოთ მოცემული მნიშვნელოვანი საკითხების ჩამონათვალი, კერძოდ:

- 2007 წლის 3 ოქტომბერს მაუწყებელსა და შპს „ავტოსერვისცენტრ+"-ს შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება 450კვ.მ საიჯარო ფართის სარგებლობაზე. 2008 წლის 18 თებერვალს, წერილობითი შეთანხმებით მოიჯარეს დამატებით გადაეცა 1122 კვ.მ იგივე კატეგორიის ფართი და გაცემულმა საერთო ფართმა 1572 კვ.მ შეადგინა. მაუწყებელმა აღნიშნული ფართი გააქირავა მაუწყებლის ადმინისტრაციული აქტით[1] დადგენილ საიჯარო ტარიფზე დაბალ ფასად, რის შედეგადაც ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, მაუწყებელმა ჯამში ვერ მიიღო 181,5 ათასი ლარის შემოსავალი.

  გარდა აღნიშნულისა, მაუწყებლის უკონტროლობის გამო, შპს ,,ავტოსერვისცენტრ+"-ი 2009 წლის სექტემბრიდან, ფაქტობრივად, ზედმეტად სარგებლობდა 638 კვ.მ-ს საიაჯრო ფართით, რის შედეგადაც ვერ მიიღო დამატებით 21,7 ათასი ლარის შემოსავალი

- 2008 წლის 2 ოქტომბერს მაუწყებელსა და შპს „იბერია ავტო მარკეტ"-ს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება 18 ავტომანქანით 3 წლის ვადით (24 საათის განმავლობაში) მომსახურების თაობაზე, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 1 979,6 ათას ლარს. ხელშეკრულება წარმოადგენდა მაუწყებლის მხრიდან სუსტი მენეჯმენტისა და სუსტი ფინანსური მართვის შედეგს, რადგან იმ რაოდენობისა და კლასის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შეძენისა (ავტოტრანსპორტის ღირებულება 404,7 ათასი ლარი) და სწორი ექსპლუატაციის პირობებში (საწვავი 409,1 ათასი ლარი, მძღოლების შრომის ანაზღაურება 405,0 ათასი

[1] მაუწყებლის 2006 წლის 20 დეკემბრის N209 ბრძანებით ,,საიჯარო ფართის კატეგორიების და ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით)

ლარი, სათადარიგო ნაწილები და მომსახურება 123,5 ათასი ლარი), შესაძლებელი იყო 3 წლის განმავლობაში მაუწყებელს დაეზოგა 637,3 ათასი ლარი.

2008 წლის ნოემბრის თვიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შპს იბერია ავტო მარკეტი"-ს მიერ არ ხორციელდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი მომსახურების სრულყოფილად მიწოდება, რომლის მიუხედავადაც, მაუწყებლის მიერ 14 თვის მანძილზე ცალკეულ დღეებში, ფაქტობრივად გაუწეველ მომსახურებაზე, ზედმეტად არის ანაზღაურებული 64,4 ათასი ლარი.

შპს „იბერია ავტო მარკეტი"-ს მიერ სატენდერო წინადადებით ტენდერზე წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა არ შეესაბამებოდა მაუწყებლის მიერ სატენდერო განცხადებით მოთხოვნილ პირობას, რადგან აღნიშნულმა კომპანიამ არ წარმოადგინა მომსახურების დეტალური ხარჯთაღრიცხვა ცალკეული ხარჯის ჩვენებით. ასეთ შემთხვევაში ტენდერი უნდა დასრულებულიყო უარყოფითი შედეგით.

- აუდიტის პერიოდში მაუწყებელი აქტიურად თანამშრომლობდა შპს „თბს-ტვ"-სთნ. მათ თანამშრომლობასთან დაკავშირებით აღმოჩენილი იქნა შემდეგი სახის დარღვევები:

2006 წლის ივნისის თვიდან 2010 წლის მაისის თვის ჩათვლით, ს/ს „თელასი"-ს მიერ არცერთ თვეში არ განხორციელებულა შპს „თბს-ტვ"-ს, როგორც ქვეაბონენტის მიერ მოხმარებული და გადახდილი ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილის გამოკლება, მაუწყებლის ელექტროენერგიის ხარჯის საერთო მოცულობიდან, რის გამოც მაუწყებლის მიერ ს/ს „თელასი"-სათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ 30,0 ათასი ლარი შეადგინა.

მაუწყებელს შპს „თბს-ტვ"-სათვის, როგორც გარე წარმოებაში დამზადებული გადაცემების მომწოდებლისათვის 2008 და 2009 წლებში სრულად აქვს ანაზღაურებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების ღირებულება 995,5 ათასი ლარი, რომლის მიუხედავად შპს „თბს-ტვ"-ს მაინც არ განუხორციელებია მაუწყებლისათვის საიჯარო გადასახადის თანხების გადახდა, რის შედეგადაც 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ამ კომპანიის დავალიანებამ მაუწყებლის მიმართ 944,4 ათასი ლარი შეადგინა.

აუდიტის პერიოდში მაუწყებლმა შპს „თბს-ტვ"-ის გადაცემა „ავტო-რევიუს" და „ცხოვრება მშვენიერია ნინო ქაჯაიასთან ერთად" დამზადებისათვის, კანონმდებლობით დადგენილი საშემოსავლო და სოციალური გადასახადის განაკვეთს ზევით ზედმეტად აუნაზღაურა 15,7 ათასი ლარი.

შპს „თბს-ტვ"-ისთან გადაცემების „საქართველოს დიდი ათეული" და „ცხოვრება მშვენიერია ნინო ქაჯაიასთნ ერთად" მოწოდებაზე დადებულ

ხელშეკრულებებში მაუწყებლის საზიანოდ შეცვლილია კონტრაქტის პირობები, რომლის თანახმადაც მაუწყებელს დაევალა საკუთარ თავზე აეღო სტუდიის, ტექ პერსონალისა და სხვა ხარჯები, ხოლო ხელშეკრულების თანხა არ შემცირებულა, რის გამოც მაუწყებელმა დამატებით გასწია 56,6 ათასი ლარი.

- აუდიტის პერიოდში ელექტრო მომარაგებაზე კონტროლის განუხორციელებლობის შედეგს წარმოადგენს აგრეთვე ის ფაქტი, რომ მაუწყებლის 10 მოიჯარე ორგანიზაცია, ხელშეკრულებების პირობების საპირისპიროდ თავისდროულად არ იყო დარეგისტრირებული ს/ს „თელას"-ში და მათ მიერ ქვეაბონენტებად დარეგისტრირების თარიღამდე მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება 24,2 ათასი ლარი ანაზღაურებულია მაუწყებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე.

  ამასთან 10 მოიჯარე პირი საერთოდ არ დარეგისტრირებულა ქვეაბონენტად ს/ს „თელას"-ში და მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება მთლიანად გადახდილია მაუწყებლის მიერ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე, რომლის ღირებულების დადგენა აუდიტის პროცესში ვერ განხორციელდა ტექნიკური პირობებიდან გამომდინარე.

- 2008 და 2009 წლებში კონტროლის განუხორციელებლობის შედეგად 12 მოიჯარე პირი არ დარეგისტრირებულა ქვეაბონენტად რათა მათ მიერვე მომხდარიყო მოხმარებული წყლის ღირებულების გადახდა, როგორც ამას მათთან დადებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა, შედეგად მათ მიერ გახარჯული წყლის საფასურის ხარჯს ეწეოდა მაუწყებელი, რამაც 2008 წელს საშუალოდ წლიურად 194,8 ათასი ლარი, ხოლო 2009 წელს 172,4 ათასი ლარი შეადგინა.
- მაუწყებლის 2007 და 2008 წლების ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტი ჩატარებული აქვს შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯიას" (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 117,0 ათასი ლარი), ხოლო 2009 წლის ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტი ჩატარებული აქვს შპს „იუ-ბი-სი ინთერნეიშენალი"-ს (სახელშეკრულებო ღირებულება 47,2 ათასი ლარი). მიუხედავად მაუწყებლის მხრიდან აღნიშნული აუდიტორულ კომპანიების მომსახურებაზე გაწეული სოლიდური ხარჯისა, მათი დასკვნები არ მოიცავს იმ უზუსტობებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფაქტობრივი მდგომარეობით მაუწყებლის აღრიცხვა-ანგარიშგებებში.
- აუდიტის პერიოდში 7 მომწოდებლისგან (მათ შორის ერთი არარეზიდენდი) შეძენილი გადაცემების საერთო რაოდენობიდან, ეთერში არ გასულა 38 გადაცემა, რის შედეგადაც ეთერში არ გასულ გადაცემებზე მაუწყებლის მიერ ზედმეტად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 179,6 ათასი ლარი.

- მაუწყებლის მიერ 2008-2009 წლებში 8 გარემწარმოებელ მომწოდებელზე კანონმდებლობით დადგენილი საშემოსავლო და სოციალური გადასახადის განაკვეთს ზევით, ზედმეტად იქნა ანაზღაურებული 137,6 ათასი ლარი, რაც მაუწყებლის მენეჯმენტის მხრიდან სრული უკონტროლობითაა გამოწვეული როგორც ხელშეკრულებებისა და ხარჯთაღრიცხვების გაფორმების, ასევე მათი შესრულების სტადიებზე.
- 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გასამართი საფეხბურთო მატჩებისა და ამხანაგური თამაშების ტრანსლიაციის უფლება მაუწყებელს, სწორად დაგეგმვის პირობებში, შეეძლო შეეძინა პირველად წყაროსგან, ნაცვლად ამისა იგი ყიდულობდა აღნიშნულ უფლებას შპს „სპორტ მედია ჯგუფი"-სგან, რის შედეგადაც მაუწყებელმა უყაირათოდ დახარჯა 139,4 ათასი ლარი.
- აუდიტის პერიოდში მაუწყებლის მიერ არ სრულდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტის[2] მოთხოვნა დაქირავებულისათვის გადასახდელი სამოვლინებო ხარჯების ნორმებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელ მუშაკებზე ნორმატიული აქტით დადგენილ ნორმებს ზევით ანაზღაურებულმა თანხებმა შეადგინა 55,5 ათასი ლარი (2007 წელს 9,8 ათასი ლარი, 2008 წელს 21,4 ათასი ლარი და 2009 წელს 24,3 ათასი ლარი).
- მაუწყებელსა და გადაცემების მომწოდებლებს შორის, 2008 და 2009 წლის ხელშეკრულებებში, 9 შემთხვევაში შეცვლილია კონტრაქტის პირობები მაუწყებლის ფინანსური შედეგების საზიანოდ. ცვლილებით, განსხვავებით პირვანდელი ხელშეკრულებებისა, მაუწყებელს დაევალა საკუთარ თავზე აეღო სტუდიის, ტექ პერსონალისა და სხვა ხარჯები, ხოლო ხელშეკრულების თანხა არ შემცირებულა არც ერთ შემთხვევაში, რის გამოც მაუწყებელმა დამატებით გასწია 135,8 ათასი ლარი.
- 2008-2009 წლებში, სატელევიზიო პროექტებზე გარემწარმოებელ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებით დადგენილი უპირობო მოთხოვნის მიუხედავად, რომ თითოეულ გარეწარმოებულ გადაცემაზე, მაუწყებლის მიერ დადგენილიყო მინიმალური საკონტროლო სარეიტინგო ზღვარი, იგი არცერთ პროექტზე არ დაწესებულა.
- აუდიტის პერიოდში, მაუწყებელი საერთოდ არ ახორციელებდა მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შეცვლისას სავალდებულო წესით დადგენილ ინვენტარიზაციას, რის შედეგადაც, მაუწყებლიდან წლების წინათ განთავისუფლებულ მუშაკებზე დღემდე ირიცხება მატერიალური აქტივები საბალანსო ღირებულებით 2 235,8 ათასი ლარი, რომელთა მოვლა-პატრონობისა და შენახვის მდგომარეობა არ შეესაბამება ნორმატიული აქტებით დადგენილ არცერთ სტანდარტს.

[2] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება, „დაქირავებულისთვის გადასახდელი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ".

- ორგანიზაციის ბალანსზე დღემდე ირიცხება 27 სატრანსპორტო საშუალება, რომელთა შორისაც 17 ავტომანქანის ადგილმდებარეობა საერთოდ გაურკვეველია, ხოლო დანარჩენი 10 ავტომანქანის მდგომარეობის იდენტიფიცირება ვერ ხორციელდება. მაუწყებლის მიერ მათი მდგომარეობისა და ადგილმდებარეობის დასადგენად არავითარი ღონისძიებები არ გატარებულა.
- მაუწყებელმა 2009 წელს შპს ,,სინეგრუპისაგან" და შპს ,,დამოუკიდებელი კინოპროექტი"-საგან შეისყიდა მათ საკუთრებაში არსებული აუდიო ვიზუალური ნაწარმოებების (,,გასეირნება ყარაბაღში 2" და ,,ჩეკი") გამოყენების განსაკუთრებული უფლების ნაწილი (30 და 14 პროცენტი) ღირებულებით 196,8 და 194,7 ათასი ლარის ოდენობით. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი მხარეთა შორის უნდა განაწილებულიყო ზემოთ აღნიშნული პროცენტული წილის შესაბამისად. მაუწყებელს აღნიშნული ფილმებიდან აუდიტის პერიოდში არანაირი შემოსავალი არ მიუღია და არც ხელშეკრულებებით არ ყოფილა გათვალისწინებული კონკრეტული მექანიზმები შემოსავლების გასაკონტროლებლად, ამასთან ფილმების შეძენაზე კონტრაქტები გაფორმებული იყო ყოველგვარი წინასწარი ფინანსური ანალიზის გარეშე, რაც სუსტი ფინანსური მართვის შედეგს წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის მიერ განხორციელებული ინვესტიციებიდან მისაღები უკუგება დიდ რისკთან არის დაკავშირებული.
- 2008 წლის 1 ივლისს მაუწყებელმა კომპანია „იუნაიდეტ სენს"-თან გააფორმა კონტრაქტი, სავაჭრო ნიშნის სტრატეგიაზე, ლოგოს დიზაინზე და საეთერო დიზაინის დამხმარე პროგრამებზე, რაც წარმოადგენს დუბლირებულ მომსახურებას, რადგან ანალოგიურ მომსახურებაზე მაუწყებელს უკვე ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება 2007 წლის 17 დეკემბერს ზემოთ აღნიშნულ კომპანიასთან. აღნიშნულ დუბლირებულ კონტრაქტზე მაუწყებელმა ზედმეტად გასწია 25,0 ათასი ევროს (56,0 ათასი ლარი) ხარჯი.

მაუწყებლის საქმიანობის ზოგადი აღწერილობა

მაუწყებელი 2007-2009 წლებში ფუნქციონირებდა „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს 2004 წლის 23 დეკემბრის კანონით და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ადმინისტრაციული აქტებით დამტკიცებული დებულებებით. აუდიტის პერიოდში მაუწყებელი აერთიანებდა ორ ტელეარხს: "პირველი არხი" (მაუწყებლობს 1956 წლიდან) და "მეორე არხი" (1991 წლიდან), ასევე რადიოარხებს - საქართველოს რადიო -პირველი არხი FM 102.4 (1925 წლიდან) და რადიო ორი–ქართული რადიო FM 100.9 (1995 წლიდან). მაუწყებლის მიზანსა და ამოცანებს წარმოადგენს შექმნას და საზოგადოებისთვის მისაწვდომი გახადოს მაღალი ხარისხის ტელე და რადიოპროგრამები, რომელიც თავისუფალი იქნება, როგორც მიმდინარე პოლიტიკური, ისე კომერციული ინტერესების

ზეწოლისგან. ამასათან უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ახალგაზრდობაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება.

მაუწყებლის 2007, 2008 და 2009 წლების ბალანსი

		31 დეკემბერი, 2007 წელი	31 დეკემბერი, 2008 წელი	31 დეკემბერი, 2009 წელი
აქტივები				
ფინანსური აქტივები	№	**4,854,174**	**4,289,154**	**4,311,019**
ნაღდი ფული სალაროში(ეროვნულ ვალუტაში)		3,719	540	108
მიმდინარე&სავალუტო ანგარიში ბანკში		77,666	81,180	15,773
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1	4,327,090	2,974,461	3,812,291
სხვა მოთხოვნები	1	137,303	143,439	148,793
გადახდილი დღგ		308,396	1,089,534	-
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა		-	-	334,054
არაფინანსური აქტივები		**17,044,496**	**21,546,795**	**22,906,738**
შენობა ნაგებობები	2	1,548,729	2,783,311	2,733,536
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	2	10,825,076	11,327,884	11,421,639
სხვა ძირითადი აქტივები	2	1,378,040	3,712,083	5,160,410
სხვა მატერიალური აქტივები		1,889,400	2,467,973	2,384,841
არაწარმოებული აქტივები	2	1,403,251	1,255,545	1,206,313
მთლიანი აქტივები		**21,898,670**	**25,835,949**	**27,217,758**
ვალდებულებები და კაპიტალი				
ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები				
ფინანსური ვალდებულებები	3	-	6,323,177	8,574,264
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან		11,240,815	6,650,960	10,115,129
გადასახდელი მოგების და საშემოსავლო გადასახადი		1,646,119	1,667,464	1,652,119
გადასახდელი დღგ		-	337,352	155,744
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	4	441,920	768,821	415,701
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის		84,670	84,921	87,483
სოციალური დაზღვევის ანარიცხები	4	6,862,577	6,860,851	6,860,035
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები		-	-	1,295
სხვა ვალდებულებები		6,795	5,054	5,290
მთლიანი ვალდებულებები		**20,282,896**	**22,698,600**	**27,867,061**
კაპიტალი				
წმინდა ღირებულება		12,851,647	9,319,404	11,235,449
გაუნაწილებელი მოგება			5,053,818	(648,879)
დაუფარავი ზარალი		(11,235,873)	(11,235,873)	(11,235,873)
მთლიანი კაპიტალი		**1,615,774**	**3,137,349**	**(649,303)**

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	**21,898,670**	**25,835,949**	**27,217,758**

შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიში
2007, 2008 და 2009 წლების მდგომარეობით

	№	31 დეკემბერი 2007	31 დეკემბერი 2008	31 დეკემბერი 2009
შემოსავლები				
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებები	5	17,695,215	24,902,400	26,499,573
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები	6	4,859,300	10,620,000	4,653,900
მთლიანი შემოსავლები		**22,554,515**	**35,522,400**	**31,153,473**
ხარჯები				
სახ. ბიუჯეტიდან დაფინანსებული ფაქტობრივი ხარჯები		**(18,271,133)**	**(17,449,611)**	**(20,358,390)**
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(9,203,357)	(10,954,619)	(10,591,427)
საოპერაციო ხარჯები	8	(4,454,098)	(5,552,382)	(7,295,319)
გადასახადები		(343,287)	(411,015)	(210,551)
დაფინანსებით შეძენილი ძირითადი საშუალებები		(3,547,372)	-	-
სხვა ხარჯები		(723,018)	(531,595)	(2,261,093)
ეკონომიკური საქმიანობიდან გაწეული ხარჯები		**(4,688,947)**	**(5,568,480)**	**(10,356,856)**
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,467,503)	(1,843,454)	(3,721,512)
ფინანსური ხარჯები		(72,929)	(46,153)	(1,109,551)
საოპერაციო ხარჯები	8	(1,939,665)	(2,101,651)	(4,152,868)
საგადასახადო ხარჯები		(510,459)	(878,025)	(45,459)
სხვა ხარჯები		(698,392)	(699,197)	(1,327,465)
მთლიანი ხარჯები		**(22,960,080)**	**(23,018,092)**	**(30,715,246)**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

2008&2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით	№	31 დეკემბერი, 2008 წელი	31 დეკემბერი, 2009 წელი
ნაშთი წლის დასაწყისისთვის		12,851,647	9,319,404
ზრდა			
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება		24,899,056	26,499,573
სხვა შემოსავლები		34,600	11,600
სულ:		**24,933,656**	**26,511,173**
შემცირება			
მომუშავეთა ანაზღაურება	7	(8,965,197)	(8,833,959)
საქონლისა და მომსახურების გამოყენება		(8,484,414)	(11,523,831)
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა		(169,755)	(71,002)
ცვეთა		(1,949,397)	(3,624,120)
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		(34,600)	(11,600)

სხვა მოცულობითი ცვლილებები	(8,862,535)	-
სხვა ხარჯები	-	(530,617)
სულ:	**(28,465,898)**	**(24,595,129)**
წმინდა ზრდა პერიოდის ბოლოს	**(3,532,243)**	**1,916,044**
ნაშთი, **2008&2009** წლების მდგომარეობით	**9,319,404**	**11,235,449**

შენიშვნები

1.მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2007-2009 წლებში არ არის ჩატარებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით ბალანსზე რიცხული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციები, რომელიც სავალდებულო წესით არის გათვალისწინებული, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით[3] დადგენილი პირობების შესაბამისად.

აუდიტის პერიოდში მაუწყებლის მიერ გაწეული საქმიანობასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაუწყებელს შპს „თბს-ტვ"-სათვის, როგორც გარე წარმოებაში დამზადებული გადაცემების მომწოდებლისათვის, 2008 და 2009 წლებში სრულად აქვს ანაზღაურებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების ღირებულება 995,5 ათასი ლარი, რომლის მიუხედავადაც შპს „თბს-ტვ"-ს მაინც არ განუხორციელებია მაუწყებლისათვის საიჯარო გადასახადის თანხების გადახდა, რის შედეგადაც 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ამ კომპანიის დავალიანებამ მაუწყებლის მიმართ 944,4 ათასი ლარი შეადგინა, ანალოგიურად 2008 და 2009 წლებში შპს „რადიო უცნობსა" და შპს „დღეზე", როგორც გარეწარმოებაში დამზადებული გადაცემების მომწოდებლებზე, მაუწყებლის მიერ სრულად იქნა ანაზღაურებული მოწოდებული გადაცემების ღირებულებები შესაბამისად 225,0 ათასი ლარი და 220,0 ათასი ლარი, რომლის მიუხედავადაც 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მაუწყებლის მიმართ შპს „რადიო უცნობის" დავალიანებამ 102,5 ათასი ლარი, ხოლო შპს „დღეს" დავალიანებამ 41,3 ათასი ლარი შეადგინა.

სხვა მოთხოვნები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
სხვა მოთხოვნები			
მოთხოვნები მივლინებით	11,446	18,355	25,102
მოთხოვნები დანაკლისებით	121,169	121,170	121,770
სხვა მოთხოვნები	4,688	3,914	1,921

[3] „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების" შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

სულ	**137,303**	**143,439**	**148,793**

2.ძირითადი და არაწარმოებული აქტივების მოძრაობა 2008 წელს

ძირითადი და არაწარმოებული აქტივები	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	მიწა	სხვა ძირითადი აქტივები	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	**1,548,729**	**10,825,076**	**1,403,250**	**1,378,040**	**15,155,095**
მიღება					
უსასყიდლოდ	-	165,557	-	-	165,557
საბიუჯეტო სახსრებით	1,381,112	747,295	-	2,295,830	4,424,237
საკუთარი და სხვა სახსრებით	-	1,210,047	-	1,656,874	2,866,921
გასვლა					
გაყიდვით	-	-	(147,706)	(404,996)	(552,702)
უსასყიდლოდ	-	(92,141)	-	-	(92,141)
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	(85,550)	-	-	(85,550)
ცვეთა	(146,530)	(1,442,400)	-	(1,213,665)	(2,802,595)
ნაშთი, 31 დეკემბერი 2008 წელი	**2,783,311**	**11,327,884**	**1,255,544**	**3,712,083**	**19,078,822**

ძირითადი და არაწარმოებული აქტივების მოძრაობა 2009 წელს

ძირითადი და არაწარმოებული აქტივები	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	მიწა	სხვა ძირითადი აქტივები	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	**2,783,311**	**11,327,884**	**1,255,544**	**3,712,083**	**19,078,822**
მიღება					
უსასყიდლოდ	-	46,489	-	-	46,489
საბიუჯეტო სახსრებით	-	2,963,543	-	3,291,312	6,254,855
საკუთარი და სხვა სახსრებით	-	401,907	-	181,839	583,746
გასვლა					
გაყიდვით	-	-	-	-	-
უსასყიდლოდ	-	(21,770)	(49,232)	-	(71,002)
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	-	(106,618)	-	(1,477)	(108,095)
ჩამოწერა	-	(673,608)	-	-	(673,608)
ცვეთა	(49,775)	(2,516,189)	-	(2,023,347)	(4,589,311)
ნაშთი, 31 დეკემბერი 2009 წელი	**2,733,536**	**11,421,638**	**1,206,312**	**5,160,410**	**20,521,896**

2.1 ძირითადი აქტივების აღირცხვა და მოვლა პატრონობა

2005 წლის 18 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის N438 განკარგულებით მაუწყებელს საკუთრებაში გადაეცა ყოფილი სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის" სარგებლობაში არსებული სახელმწიფო (უძრავი) ქონება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა უზრუნველყო ზემოაღნიშნული ქონების გადაცემისათვის, საჭირო ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 23 დეკემბრის N1-1/1236 ბრძანებით მაუწყებელს საკუთრებაში გადაეცა შემდეგი სახელმწიფო ქონება:

1. ქ. თბლისში, კოსტავას ქ. N68-ში მდებარე 23649 კვ.მ. შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 36377 კვ.მ. მიწის ფართი;
2. ქ. თბილისში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. N12/7-ში მდებარე 421 კვ.მ. შენობა და მასზე დამაგრებული 395 კვ.მ. მიწის ფართი;
3. დაბა ზაგესში მდებარე 838.73 კვ.მ. შენობა და მასზე დამაგრებული 3018 კვ.მ. მიწის ფართი;
4. მცხეთაში, სოფ. წინამძღვრიანთკარში მდებარე 5701.73 კვ.მ. შენობა-ნაგებობები და მასზე დამაგრებული 22059 კვ.მ. მიწის ფართი.

რაზედაც 2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მაუწყებელს შორის სანოტარო აქტით გაფორმებული იქნა ხელშეკრულება უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მაუწყებელს შორის გაფორმებული იქნა 2005 წლის 23 დეკემბერს.

2006 წლის 29 ნოემბრის საქართველოს მთავრობის N557 განკარგულებით მაუწყებელს საკუთრებაში გადაეცა ძირითადი საშუალებები: N1 რეესტრის მიხედვით სულ ნარჩენი საბალანსო ღირებულებით - 7 786,3 ათასი ლარის; N2 რეესტრის მიხედვით ინვენტარიზაციის პერიოდში დაფიქსირებული 144 დასახელების 335 ერთეული მოძრავი ნივთი, რომელიც არ ირიცხებოდა მაუწყებლის საბუღალტრო ბალანსში; N3 რეესტრის მიხედვით ტელერადიოცენტრის დუშეთის ობიექტზე რიცხული ძირითადი საშუალებები, სულ ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 949,2 ათასი ლარი.

ამ განკარგულების შესასრულებლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა უზრუნველყო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებათა განხორციელება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 15 დეკემბრის N1-1/1427 ბრძანებით სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტს დაევალა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, ხოლო იურიდიულ სამსახურს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. 2007 წლის 11 იანვარს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მაუწყებელს შორის სანოტარო აქტით გაფორმებული იქნა ხელშეკრულება ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მაუწყებელს შორის გაფორმდა 2007 წლის 5 იანვარს.

ძირითადი აქტივების აღრიცხვის საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შპს „უძრავი ქონების ექსპერტიზამ" სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელთან" 2006 წლის 10 აპრილს გაფორმებული N38-2 ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა დანაკლისი 951 ერთეული, რომლის ნარჩენი ღირებულება 546,5 ათასი ლარი, ხოლო საბალანსო ღირებულებამ 2 039,2 ათასი ლარი შეადგინა, ამასთან 2007 წლის 6 ივნისის N83 ბრძანების საფუძველზე მაუწყებელში შეიქმნა დანაკლისის სახით დაფიქსირებული ძირითადი საშუალებების შემსწავლელი კომისია. აღნიშნულმა კომისიამ შეისწავლა თითოეულ მატერიალურ პასუხისმგებელზე რიცხული დანაკლისები. კომისიის მიერ საბოლოო დასკვნა შედგენილ იქნა 2007 წლის 1 დეკემბერს და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დღემდე არ არის არანაირი გადაწყვეტილება მიღებული და წარდგენილი მაუწყებელში, თავის მხრივ მაუწყებლის მიერ დღემდე არ არის ასახული ბალანსში ინვენტარიზაციის შედეგები დაფიქსირებულ დანაკლისებთან დაკავშირებით.

2.2 ინვენტარიზაცია

მაუწყებლის მიერ, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, აუდიტის პერიოდის არცერთი წლისთვის არ ჩატარებულა მაუწყებლის ქონების ინვენტარიზაცია

სავალდებულო წესით, მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი პირობისა[4].

ასევე სავალდებულო წესით ინვენტარიზაციის ჩატარებას ექვემდებარება ორგანიზაციის ქონება მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შეცვლისას, რაც მაუწყებელში საერთოდ არ ხორციელდებოდა. შედეგად, მაუწყებლიდან წლების წინათ განთავისუფლებულ მუშაკებზე, დღემდე ირიცხება 2 235,8 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მატერიალური აქტივები, რომელთა მოვლა-პატრონობისა და შენახვის მდგომარეობა არ შეესაბამება ნორმატიული აქტებით დადგენილ არცერთ სტანდარტს, ზოგიერთ შემთხვევაში კი მაუწყებელი საერთოდ ვერ ფლობს ინფორმაციასაც კი ძირითადი აქტივების მდგომარეობისა და ამჟამინდელი ადგილმდებარეობის შესახებ. მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ არ არის განხორციელებული ძირითადი აქტივების მიღების, აღრიცხვის, სწორი ესპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება, კერძოდ, მაუწყებლის ბალანსზე დღემდე ირიცხება 27 სატრანსპორტო საშუალება, რომელთა მდგომარეობა და ადგილმდებარეობა (17 ერთეული) მაუწყებლისვე ინფორმაციით გაურკვეველია და მათ დასადგენად მაუწყებლის მიერ არავითარი ღონისძიებები არ არის გატარებული (საკითხი სამართალდამცავი ორგანოების წინაშე დასმულიც კი არ არის).

მაუწყებელში საქართველოს კონტროლის პალატის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მაუწყებლის 2010 წლის 15 მარტის N37 და იმავე თარიღის N38 ბრძანებებით შეიქმნა სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა, აგრეთვე მოთხოვნებისა და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისიები რომელთაც შესასრულებელი სამუშაოს დიდი მოცულობის გამო მაუწყებლის 2010 წლის 3 მაისის N63 და 2010 წლის 2 ივნისის N86 ბრაძანებებით ინვენტარიზაციების ჩატარების ვადა გაუგრძელდათ შესაბამისად 2010 წლის 1 სექტემბრამდე და 2010 წლის 1 ივლისამდე. აღნიშნული კომისიების მიერ საბოლოო დასკვნის წარმოდგენამდე, ძირითადი და მატერიალური აქტივების, აგრეთვე მაუწყებლის ბალანსზე რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებათა რეალობებზე კონკრეტული დასკვნების გაცემა შეუძლებელია.

3. ფინანსური ვალდებულებები

2007-2009 წლებში მაუწყებელს სამეურვეო საბჭოს 2007 წლის 16 ივლისის N67 გადაწყვეტილების საფუძველზე ს/ს ,,საქართველოს ბანკთან" გაფორმებული აქვს 3 საკრედიტო ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზე 2008-2009 წლების სხვადასხვა თარიღებში მიღებული აქვს კრედიტის თანხა 2347,0 ათასი ლარის

[4] „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების" შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

ოდენობით, მათ შორის 200,0 ათასი ლარი 13%-იანი სარგებლობის წლიური განაკვეთით (ოთხ წლიანი სარგებლობის უფლებით), 1500,0 ათასი ლარი 18%-იანი სარგებლობის წლიური განაკვეთით (სამ წლიანი სარგებლობის უფლებით) და 647,0 ათასი ლარი 18%-იანი სარგებლობის წლიური განაკვეთით (ერთ წლიანი სარგებლობის უფლებით). საკრედიტო ხელშეკრულებების თანახმად, სესხი გათვალისწინებული იყო ახალი პროგრამებისა და სტუდიების განახლების დასაფინანსებლად, თუმცა სესხის ნაწილი მაუწყებელს გახარჯული აქვს სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის პირობების დაუცველად. კერძოდ, გადახდილია მიწის გადასახადი 385,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 19,4 ათასი ლარი გადახდილია შპს ,,გუგა 2000"-ზე (31.10.08წ N199-5 ხელშეკრულება) ინვენტარიზაციის პროცესის ჩატარებასთან დაკავშირებით მაუწყებლის მიმდებარე ტერიტორიაზე რკინის კონსტრუქციებისა და ჯართის გადასაადგილებლად, მაშინ როდესაც ინვენტარიზაცია მაუწყებელს დღემდე ჩატარებული არ აქვს.

მიღებული საკრედიტო თანხების სარგებლობის პროცენტის დასაფარად 2008 წელს ს.ს ,,საქართველოს ბანკისათვის" მაუწყებლის მიერ გადახდილია 17,7 ათასი ლარი, 2009 წელს 386,6 ათასი ლარი, ხოლო სესხის ძირი თანხის დასაფარად (2008-2009 წლებში) 569,3 ათასი ლარი.

2008 და 2009 წლებში მაუწყებლის ფინანსურ ვალდებულებებს განეკუთვნება ასევე მისი დავალიანება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ 4 226,4 ათასი ლარი რომელიც გამოყოფილი იყო ეუტელსატის დავალიანების დასაფარად, ხოლო 2009 წელს 347,9 ათასი ლარი წარმოადგენს შპს "ალიანს ჯგუფი"-ს მიმართ არსებულ ფინანსურ ვალდებულებას.

ამასთან, მაუწყებელსა და ს/ს ,,კორ სტანდარტ ბანკს" შორის 2009 წლის 11 ნოემბერს (სამეურვეო საბჭოს თანხმობით) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (მაუწყებლის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის პირობით) 2009 წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში აღებული აქვს კრედიტი 4000,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან 1777,7 ათასი ლარი მიმართული იქნა ს/ს ,,საქართველოს ბანკი"-ს სასესხო ვალდებულებათა სრული მოცულობით დასაფარად. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მაუწყებლის შესაბამის საბალანსო ანგარიშზე ერიცხება სასესხო დავალიანება ს/ს ,,კორ სტანდარტ ბანკი"-ს მიმართ 4000,0 ათასი ლარის ოდენობით.

3.1 აღურიცხავი ვალდებულებები

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2007 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საბიუჯეტო წელზე შედგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაში, კერძოდ ორგანიზაციის ბალანსში (ფორმა N1) N150 სუბანგარიშზე „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან" არ არის აღრიცხული და ასახული საზოგადოებრივი მაუწყებლის ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) აქტიურ წევრად აღიარების ერთჯერადი გადასახადის მთლიანი თანხის

ნაწილი (თანხა - 222,0 ათასი შვ. ფრანკი) და ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ საზოგადოებრივ მაუწყებელზე 2006 და 2007 წლებში გაწეული სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ღირებულების ნაწილი. სულ მხოლოდ ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიმართებაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ აღურიცხავმა ვალდებულებებმა 2006 წელს 368,4 ათასი ლარი, ხოლო 2007 წელს 360,2 ათასი ლარი შეადგინა, რის შედეგადაც მაუწყებლის 2007 წლის ბუღალტრულ ანგარიშგებებში აღრიცხული და ასახული არ არის 728,6 ათასი ლარი (მაუწყებლის ბალანსის N150 სუბანგარიშის ნაშთში), ხოლო ბალანსის დანართის ფორმა N2-ში(ხარჯების ნაწილი) აღრიცხული და ასახული არ არის 360,2 ათასი ლარი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საბიუჯეტო წელზე შედგენილ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაში, კერძოდ მაუწყებლის ბალანსის N3210 საბალანსო ანგარიშზე „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან" აღრიცხული და ასახული არ არის 943,5 ათასი ლარი, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა №2-ში აღრიცხული არ არის 214,9 ათასი ლარი, რაც ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ, 2008 წელს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გაწეული სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების აღურიცხავი ვალდებულებების ნაწილს შეადგენს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საბიუჯეტო წელზე შედგენილ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაში - კერძოდ მაუწყებლის ბალანსის N3210 საბალანსო ანგარიშზე „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან" არ არის აღრიცხული და ასახული ევროპის მაუწყებელთა კავშირიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შეძენილი, 2010 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მაუწყებლობის უფლების ღირებულების თანხის ნაწილი 50,0 ათასი ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (108,4 ათასი ლარი).

2009 წლის 8 დეკემბერს მაუწყებლის ახალ მენეჯმენტსა და ევროპის მაუწყებელთა კავშირს შორის მიღწეული შეთანხმებით გახდა შესაძლებელი გასული პერიოდების ვალდებულებების აღრიცხვის და მათი ეტაპობრივად დაფარვის ღონისძიების განსაზღვრა. თუმცა ამავე შეთანხმებით მაუწყებელი ვალდებული გახდა ეღიარებინა წლების განმავლობაში მათ მიერ აღურიცხავ და გადაუხდელ ვალდებულებებზე დარიცხული 101,0 ათასი ლარის საჯარიმო სანქციები, რაც ზედმეტი ფინანსური რესურსების ხარჯვასთანაა დაკავშირებული.

4.ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები და სოციალური ანარიცხები

ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
ქონების გადასახადი	195,322	195,322	195,322
მიწის გადასახადი	22,766	22,766	22,766
რეკლამის გადასახადი	59,658	59,658	59,658
სამეწარმოე გადასახადი	1,076	1,076	1,076
საგზაო გადასახადი	136,979	136,979	136,979
გადასახდელი დღგ	9,019	9,019	-
მიმდინარ პერიოდის გადასახადი	17,100	344,002	-
სულ	**441,920**	**768,822**	**415,801**

აღსანიშნავია რომ 2004 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მაუწყებელს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რის საფუძველზეც რესტრუქტურიზირდა მაუწყებლის დავალიანება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტისადმი 145,9 ათასი ლარი, ტერიტორიული ბიუჯეტისადმი 1905,5 ათასი ლარი. ასევე 2007, 2008 და 2009 წლებში არსებული სოციალური დაზღვევის ანარიცხების დავალიანება წარმოშობილია 1998-2003 წლებში, რომელიც ასევე იქნა რესტრუქტურიზირებული 2004 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

5.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2007-2009 წლებში, წლიური საბიუჯეტო კანონებით გამოსაყოფი ასიგნებების მოცულობებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საბიუჯეტო განაცხადები ფინანსთა სამინისტროში წარდგენილია იმ პერიოდში მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.[5]

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის" 2007-2009 წლებში ასიგნებების დაგეგმვისა და გამოყოფის პროცესი ხორციელდებოდა ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში, კერძოდ 2007 წელთან შედარებით 2008 და 2009 წლებში გამოყოფილი ასიგნებების ზრდის მაჩვენებელმა შესაბამისად 40,7%-ი და 49,8%-ი, ხოლო 2009 წელს 2008 წელთან შედარებით 6,4%-ი შეადგინა.

საბიუჯეტო წელი	დაზუსტებული ბიუჯეტი	ვალდებულება	დამოწმებული ვალდებულება (მოთხოვნა)	გაწეული საკასო ხარჯი	გადახრა დამოწმებულ ვალდებულებასა და საკასო ხარჯს შორის
2007	17,695,215	17,695,215	17,695,215	17,695,215	-
2008	24,902,400	24,902,400	24,902,400	24,902,400	-
2009	26,500,600	26,499,573	26,499,573	26,499,573	-

[5] „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გრაფიკი

აუდიტის პერიოდის ცალკეული წლების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაუწყებლისათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა ასახულია წინამდებარე ცხრილში.

საბიუჯეტო წლები	ეკონომიკური კლასიფიკაციის სუბსიდიების მუხლი	ასიგნებები არაფინანსური აქტივების გადასახდელებში	ასიგნებები ვალდებულებების გადასახდელებში	სხვა ხარჯების მუხლი	სულ
2007	17,695,215	-	-	-	**17,695,215**
2008	17,358,000	3,318,000	4,226,400	-	**24,902,400**
2009	19,555,600	6,882,600	60,800	600	**26,499,600**

6.ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

2007-2009 წლებში მაუწყებლის შემოსავლების წყაროს საბიუჯეტო დაფინანსების გარდა წარმოადგენდა იჯარიდან, რეკლამიდან, საარქივო მომსახურებიდან, ქონების რეალიზაციიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები.

აუდიტის პერიოდში მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები(დარიცხული) მოცემულია ცხრილის სახით:

	2007 წელი		2008 წელი		2009 წელი		2007-2009 წლები	
დასახელება	თანხა	%	თანხა	%	თანხა	%	თანხა	%
იჯარა	548,800	11.3	737,300	6.9	838,200	18.0	2,124,300	10,6
რეკლამა, საარქივო მომსახურება	3,411,700	70.2	1,611,700	15.2	2,306,900	49.6	7,330,300	36,4
სანქციები, ჯარიმები, საურავები	37,400	0.8	76,300	0.7	1,193,300	25.6	1,307,000	6,5
ქონების რეალიზაცია	620,500	12.8	7,723,200	72.7	-	-	8,343,700	41,4
სხვა შემოსავლები	240,900	4.9	471,500	4.4	315,500	6.8	1,027,900	5,1
სულ ჯამი	**4,859,300**	**100**	**10,620,000**	**100**	**4,653,900**	**100**	**20,133,200**	**100**

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გრაფიკი



აუდიტის პერიოდში, მაუწყებლის ბიუჯეტი შემოსავლების კუთხით საერთოდ არ დამტკიცებულა, რითაც არ იქნა დაცული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები[6].

6.1 იჯარიდან მიღებული შემოსავლები და ვადაგადაცილებებზე დაურიცხავი საურავები

2007 წლის 30 აგვისტოს მაუწყებლის N136-ა ბრძანებით გამოცხადებული იყო კონკურსი კოსტავას ქ.N68-ში მდებარე მაუწყებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, 450 კვ.მ ფართის ავტო-ტექ მომსახურეობის ობიექტის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, რომლის საიჯარო ქირის საწყისი ფასი 1 კვ.მ ფართზე შეადგენდა 2 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში. 2007 წლის 26 სექტემბერს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად გამოვლინდა ერთადერთი პრედენდენტი შპს „ავტოსერვისცენტრი+“, რომლის მიერ წარმოდგენილი 1 კვ.მ ფართზე საიჯარო ქირის ოდენობა თვეში შეადგენდა 2 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. აღნიშნულიდან გამომდინარე 2007 წლის 3 ოქტომბერს მაუწყებელსა და შპს „ავტოსერვისცენტრს“ შორის გაფორმდა N189-6 ხელშეკრულება, რომლის თანახმად მაუწყებელმა მოიჯარეს 2 წლის ვადით, დროებით სარგებლობაში გადასცა 450 კვ.მ ფართი ავტო-ტექ მომსახურების მოსაწყობად. ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა თვეში განისაზღვრა 900 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში და 1 კვ.მ ფართის საიჯარო ქირის ოდენობამ შეადგინა 2 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, მაშინ როდესაც მაუწყებლის ადმინისტრაციული აქტით[7] 1 კვ.მ ფართზე საიჯარო ქირის ოდენობა (დამხმარე ფართი მე-3 კატეგორია) თვეში დადგენილი იყო 5 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში. 2008 წლის 18 თებერვლიდან (გაფორმებული იქნა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ) მოიჯარეზე დროებით სარგებლობაში გაცემულმა საერთო ფართის ოდენობამ სულ შეადგინა 1572 კვ.მ, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 18 თებერვლის ჩათვლით. 1 კვ.მ ფართის საიჯარო ქირის ოდენობა თვეში დარჩა უცვლელი-2 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

მაუწყებლის 2008 წლის 12 ივნისის N63-1 ბრძანებით საიჯარო ფართზე დადგენილი იქნა ახალი ტარიფები, რომლის თანახმად 1 კვ.მ დამხმარე ფართის საიჯარო ქირის ოდენობა თვეში განისაზღვრა 8,5 ლარის ოდენობით. მაშინ, როდესაც 2008 წლის 1 აგვისტოს კვლავ გაფორმებული იქნა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად ყოველთვიური საიჯარო ქირის გადასახადი იგივე ფართზე (1572 კვ.მ) განისაზღვრა 5,4 ათასი ლარის ოდენობით, რაც 1 კვ.მ ფართზე თვეში 3,4 ლარს

[6] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი.

[7] მაუწყებლის 2006 წლის 20 დეკემბრის N209 ბრძანებით „საიჯარო ფართის კატეგორიების და ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით)

შეადგგენდა, ანუ 5,1 ლარით ნაკლებს, ვიდრე ზემოაღნიშნული ბრძანებით იყო დადგენილი.

მაუწყებლის ბრძანებებით დადგენილი საიჯარო ქირის ტარიფების არ გათვალისწინების შედეგად, მაუწყებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ვერ მიიღო ჯამში სულ 181,5 ათასი ლარი.

ამასთან შპს ,,ავტოსერვისცენტრი", ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1572 კვ.მ ფართისა, 2009 წლის ზაფხულიდან ფაქტობრივად სარგებლობდა 2210 კვ.მ ფართით, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 638 კვ.მ-ით მეტია, აღნიშნული დასტურდება მაუწყებლის ადმინისტრაციული სამსახურისა და სატრანსპორტო ჯგუფის უფროსის ინფორმაციებით, რაც მაუწყებლის ბრძანებით დადგენილ საიჯარო ქირის ტარიფებზე გაანგარიშებით 21,7 ათას ლარს შეადგენს.

აუდიტის პერიოდში ბოლო შეთანხმება, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, მაუწყებელსა და შპს ,,ავტოსერვისცენტრს" შორის გაფორმებულია 2009 წლის 16 ივლისს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 18 თებერვლამდე, ხოლო დანარჩენი სხვა პირობა დარჩა უცვლელი, მათ შორის საიჯარო ქირის გადასახადიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მაუწყებელი ვერ უზრუნველყოფს საკუთარი აქტივების (საიჯარო ფართის) ეფექტიან მართვას და გამოყენებას შემოსავლების მიღების კუთხით, რომელიც შემოსავლების მიღების ერთ-ერთ ძირითად წყაროს უნდა წარმოადგენდეს.

2007-2009 წლებში მაუწყებელს საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე 36 მოიჯარე ორგანიზაციაზე იჯარით გაცემული ჰქონდა სულ 8559 კვ.მ სხვადასხვა კატეგორიის ფართი, რომელთა 1 კვ.მ ფართის ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა თვეში სასტუდიე ფართზე 8 აშშ დოლარს, საოფისე ფართზე 7 აშშ დოლარს, ხოლო დამხმარე ფართზე-5 აშშ დოლარის ექვივალენტს შეადგენდა, 2008 წლის 12 ივნისიდან შესაბამისად, 13.6 ლარს, 11.9 ლარსა და 8.5 ლარს შეადგენდა 1 კვ.მ-ზე.

აუდიტის პერიოდში ზოგიერთ შემთხვევაში არ სრულდებოდა მოიჯარეების მიერ საიჯარო ხელშეკრულების პირობები, რაც განპირობებული იყო იმით, რომ წერილობითი ფორმით არ იყო დადგენილი პასუხისმგებელი პირები, საიჯარო ხელშეკრულებით მოიჯარეებზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების კონტროლის განსახორციელებლად. უფლება მოვალეობების გამიჯვნის არ არსებობა განაპირობებდა იმას, რომ მკაფიოდ არ იყვნენ განსაზღვრულნი მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, აღნიშნული წარმოშობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. ქვემოთ მოცემულია მოიჯარეების მხრიდან გადაუხდელი საიჯარო ქირისა და მაუწყებლის მიერ დაურიცხავი საურავების ცხრილი(ლარში).

#	დასახელება	გადაუხდელი თანხა(ძირი)	დაურიცხავი საურავი	ჯამი

1	შპს "ნიუ რაციო"	21,477	4,143	**25,620**
2	ინდ. მეწარმე "მანანა მირაშვილი"	2,996	1,394	**4,390**
3	შპს "გიგანტიუსი"	7,365	955	**8,320**
4	შპს "ფენიქსი"	4,915	4,383	**9,298**
5	შპს კინოსტუდია "სანგუკო"	92,258	135,042	**227,300**
6	შპს "სტუდია დღე"	41,330	393,132	**434,462**
7	შპს "კაბადონი+"	43,659	163,655	**207,314**
სულ		**214,000**	**702,704**	**916,704**

აუდიტის პერიოდში მაუწყებელს არ განუხილავს მოიჯარეების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობებზე საურავების დარიცხვის საკითხი და არ მიუღია ამასთან დაკავშირებით დასაბუთებული გადაწყვეტილება, ასევე მაუწყებელის მხრიდან არ გატარებულა ქმედითი ღონისძიებები აღნიშნული დავალიანებების ამოსაღებად.

2008 წლის 15 ივლისს, ზაფხულის 29-ე ოლიმპიური თამაშების ჩვენების ოფიციალური პარტნიორის უფლების გადაცემაზე გაფორმდა ხელშეკრულება მაუწყებელსა და ამხანაგობა ,,ოლიმპიურ ვარსკვლავს" შორის ღირებულებით 60,0 ათასი დოლარის ექვივალენტი ლარში. მაუწყებლის მიერ ამხანაგობა ,,ოლიმპიურ ვარსკვლავისათვის" გაწეულმა მომსახურების ღირებულებამ შეადგინა-60,0 ათასი დოლარის ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით. აუდიტის პერიოდში აღნიშნული თანხა ამხანაგობას გადახდილი არ აქვს და ირიცხება დავალიანებად.

2009 წლის 2 თებერვალს მაუწყებელსა და შპს ,,ფენიქსს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება პირდაპირ ეთერში ლატარიის გათამაშების ტრანსლიაციისა და ტექნიკურ მომსახურების ორგანიზებაზე. მაუწყებლის მხრიდან გაწეულმა მომსახურების ღირებულებამ სულ შეადგინა 44,0 ათასი დოლარის ექვივალენტი ლარში. აღნიშნული თანხიდან შპს „ფენიქსს" დავალიანებად ერიცხება ძირითადი თანხის სახით 27,4 ათასი დოლარის ექვივალენტი ლარში.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევასთან დაკავშირებით, მაუწყებელს არ მიუღია დასაბუთებული გადაწყვეტილება დამკვეთისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხთან დაკავშირებით. დაურიცხავი საურავების მოცულობა აუდიტის პერიოდში ამხანაგობა ,,ოლიმპიურ ვარსკვლავთან" მიმართებაში შეადგენს 35,6 ათას, ხოლო შპს „ფენიქსთან" 5,4 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

მაუწყებლის საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ 2009 წლის სექტემბერში მაუწყებელმა სს „ახალი სასტუმრო/რედისონ სას ივერია"-სთან გააფორმა 132,0 ათასი ლარის ღირებულების 11 თვიანი ხელშეკრულება სასტუმროს მე-10 სართულზე 35 კვ.მ ფართის ქირავნობაზე და ყოველთვიურად უხიდიდა 12,0 ათას ლარს, რაც 1 კვ.მ-ზე თვეში 343 ლარს შეადგენდა.

6.2 რეკლამებიდან მიღებული შემოსავლები

მაუწყებლის არხებზე კომერციული რეკლამა ან ტელეშოპინგი არ შეიძლება განთავსდეს დასვენებისა და უქმე დღეებში, აგრეთვე საუკეთესო დროს სხვა დღეებში (გარდა სპორტული პროგრამების, საერთაშორისო ფესტივალებისა და სხვა) ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად[8]. აუდიტის პერიოდში, მაუწყებლის მიერ რეკლამის ტარიფების დადგენის საფუძველს არ წარმოადგენდა მარკეტინგული კვლევა და მაუწყებლის რეიტინგი, აღნიშნული დადგენილი იყო გენერალური დირექტორის ბრძანებით ცალკეული გადაცემებისა და დროის მიხედვით, რაც ასახული იყო მედია გეგმაში.

ამასთან, 2008 წლის 19 დეკემბერს მაუწყებელსა და შპს ,,მედია ჰაუსს" შორის (კონკურსის წესით) გაფორმებული იყო ხელშეკრულება სარეკლამო მომსახურების (კომერციული სარეკლამო რგოლების გადაცემა, სპონსორობა) გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებაზე ორწლიანი ვადით. კონტრაქტი ძალაში შევიდა 2009 წლის პირველი იანვრიდან. ხელშეკრულების N1 დანართის საფუძველზე მაუწყებლის სატელევიზიო ეთერში შპს ,,მედია ჰაუსი" ადგენს რეკლამის დამკვეთის სარეკლამო განთავსების პირობებს რეკლამის დამკვეთთან, ან მის მომსახურე სარეკლამო სააგენტოსთან შეთანხმებით. ხელშეკრულების პირობის თანახმად, სააგენტო ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, მაუწყებელს წარუდგენს სარეკლამო მომსახურების ფასდაკლებების სისტემის ანგარიშს, თუმცა წარმოდგენილ ანგარიშებში არ არის მითითებული თუ რა კრიტერიუმებით ხდება შპს ,,მედია ჰაუსსა" და სარეკლამო სააგენტოს შორის გაფორმებული სტანდარტული და სპეციალური ფასდაკლებების გაანგარიშება.

აღნიშნულიდან გამომდინარე მაუწყებელი ვერ აკონტროლებს ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ რეკლამის ფასდაკლებების სისტემას და არსებობს რისკი შემოსავლების ნაკლები ოდენობით მიღებისა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2009 წელს რეკლამებიდან მიღებული შემოსავლები 32%-ით იყო შემცირებული 2007 წელს სარეკლამო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან შედარებით, ხოლო 2008 წლის იმავე საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები კი 53%-ით ნაკლები იყო 2007 წლის სარეკლამო შემოსავლებთან მიმართებაში.

სარეკლამო და საარქივო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების გრაფიკი

[8] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლი



6.3 სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლები

მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების დაგეგმვის სისწორის საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2008 წლის 22 დეკემბრის N121 გადაწყვეტილებით (ოქმი N85) ქართული კინო ინდუსტრიის წარმოებისა და კინო ინდუსტრიის განვითარების, აგრეთვე, შემოსავლების მიღებისა და ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს" შპს „სინეგრუპთან" ერთად უნდა მიეღო მონაწილეობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის, „გასეირნება ყარაბახში 2"-ს შექმნაში და ესარგებლა ამ ფილმთან დაკავშირებული საავტორო და სხვა უფლებებით (ფილმის ჩვენების უფლება, საფესტივალო ჩვენების უფლება, გაქირავების უფლება, გასხვისების უფლება და ა.შ).

აღნიშნულის საფუძველზე 2009 წლის 21 იანვარს შპს „სინეგრუპთან" გაფორმდა ხელშეკრულება N10-3 ღირებულებით 118,0 ათასი ა.შ.შ დოლარის ექვივალენტ თანხზე ეროვნულ ვალუტაში. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სინეგრუპის საკუთრებაში არსებული, აუდიოვიზუალური ნაწარმოების, გამოყენების განსაკუთრებული უფლების ნაწილის სასყიდლიანი გადაცემა მაუწყებლის საკუთრებაში. მხარეთა საერთო საკუთრებაში არსებული უფლების 70% დარჩებოდა შპს „სინეგრუპს", ხოლო 30% მაუწყებელს. ხელშეკრულების პირობის თანახმად მხატვრული ფილმი „გასეირნება ყარაბახი 2" უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს 2009 წლის 1 თებერვლისა. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4.1. პუნქტის თანახმად ნაწარმოების კინოთეატრებში ჩვენების დასრულებიდან 2 თვის განმავლობაში მაუწყებელი უფლებამოსილი იყო ექსკლუზიურად განეხორციელებინა მხატვრული ფილმის პრეზენტაცია პირველი ჩვენების უფლებით. აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენების

განსაკუთრებული უფლების რეალიზაციის შედეგად, მიღებული შემოსავალი (გარდა ფულადი ჯილდოებისა, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ ფილმის შემქმნელებისათვის, მსახიობებისათვის ან სხვა ერთჯერადი საჩუქრისათვის) მხარეთა შორის უნდა განაწილებულიყო ზემოთაღნიშნული პროცენტული წილის შესაბამისად.

2009 წლის 23 იანვარს გაფორმებული შესრულებული სამუშაოს აქტის თანახმად მიმწოდებელმა სინეგრუპმა შეასრულა მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და მაუწყებელს გადასცა აუდიოვიზუალური ნაწარმოების განსაკუთრებული უფლების ნაწილი, რაზედაც მაუწყებლის მიერ გადახდილი იქნა 118,0 ათასი ა.შ.შ დოლარის ექვივალენტი თანხა ეროვნულ ვალუტაში (196,8 ათასი ლარი).

ასევე 2009 წლის 23 აპრილს მაუწყებელსა და შპს ,,დამოუკიდებელ კინოპროექტს" შორის გაფორმებულია ხელშეკრულება N71-3, ღირებულებით 194,7 ათას ლარზე, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა დამოუკიდებელი კინოპროექტის საკუთრებაში არსებული, აუდიოვიზუალური ნაწარმოების - სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ჩეკის" (ქუჩის დღეები) გამოყენების განსაკუთრებული უფლების ნაწილის, სასყიდლიანი გადაცემა მხარეთა საკუთრებაში. უფლების თანასაკუთრებაში გადაცემის შემდეგ საერთო საკუთრებაში არსებული უფლების 86% დარჩებოდა დამოუკიდებელ კინოპროექტს, ხოლო 14% მაუწყებელს. ხელშეკრულების პირობის თანახმად მხატვრული ფილმი „ჩეკი" უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს 2009 წლის 15 სექტემბრისა.

ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4.1. პუნქტის თანახმად ნაწარმოების კინოთეატრებში ჩვენების დასრულებიდან 2 თვის განმავლობაში მაუწყებელი უფლებამოსილი იყო ექსკლუზიურად განეხორციელებინა მხატვრული ფილმის პრეზენტაცია პირველი ჩვენების უფლებით. აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი (გარდა ფულადი ჯილდოებისა, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ ფილმის შემქმნელებისათვის, მსახიობებისათვის ან სხვა ერთჯერადი საჩუქრისათვის) მხარეთა შორის უნდა განაწილებულიყო ზემოთაღნიშნული პროცენტული წილის შესაბამისად. 2009 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი და მიმწოდებელზე გადარიცხული იქნა სახელშეკრულებო თანხა 194,7 ათასი ლარის ოდენობით.

მაუწყებელს აღნიშნული ფილმებიდან აუდიტის პერიოდში არანაირი შემოსავალი არ მიუღია და არც ხელშეკრულებებით არ ყოფილა გათვალისწინებული კონკრეტული მექანიზმები შემოსავლების გასაკონტროლებლად, ამასთან ფილმების შეძენაზე კონტრაქტები გაფორმებული იყო ყოველგვარი წინასწარი ფინანსური ანალიზის გარეშე, რაც სუსტი ფინანსური მართვის შედეგს წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის მიერ

განხორციელებული ინვესტიციებიდან მისაღები უკუგება დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

7.ადმინისტრაციული ხარჯი

სახ. ბიუჯეტიდან
ფაქტობრივად გაწეული ადმინისტრაციული ხარჯები

	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
ხელფასი და სოციალურები	(7,779,754)	(8,965,197)	(8,833,959)
მასალის და მცირეფასიანი ხარჯი	(271,786)	(203,983)	(413,174)
საწვავის ხარჯი	(432,104)	(486,990)	(135,882)
ელექტროენერგია	(119,204)	(294,016)	(222,027)
კომუნალური ხარჯები	(157,817)	(509,429)	(462,470)
სატელეფონო მომსახურება	(352,083)	(444,153)	(289,792)
იურიდიული მომსახურება და აუდიტი	(42,500)	(47,918)	(67,677)
სარემონტო ხარჯი	(27,370)	-	(156,521)
საიჯარო გადასახადი	(20,740)	(2,933)	(9,925)
სულ	**(9,203,357)**	**(10,954,619)**	**(10,591,427)**

ეკონომიკური საქმიანოიდან
ფაქტობრივად გაწეული ადმინისტრაციული ხარჯები

	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
უსასყიდლოდ მიღებული მასალების ხარჯი	-	(9,868)	(42,909)
პრემია	(7,416)	(787)	-
მატერიალური დახმარება	(13,909)	(39,355)	-
სასტუმროებისა და ტაქსის დამატებითი ანაზღაურება	-	(26,820)	(27,579)
ხელფასი და სოციალური	(482,220)	(426,573)	(2,239,686)
მასალის და მცირეფასიანი ხარჯი	(128,047)	(208,059)	(177,123)
საწვავის ხარჯი	(18,893)	(18,556)	(1,720)
ელექტროენერგია	(95,444)	(5,001)	(53,083)
კომუნალური ხარჯები	(160,013)	(95,201)	(48,345)
სატელეფონო მომსახურება	(30,038)	(57,318)	(24,411)
იურიდიული მომსახურება და აუდიტი	-	(5,600)	(3,795)
სარემონტო ხარჯი	(185,222)	(93,003)	(124,101)
არამატერიალური აქტივის ცვეთა	(9,513)	(329,067)	(446,220)
ამორტიზაცია	(320,269)	(515,728)	(518,975)
საიჯარო გადასახადი	(16,519)	(12,518)	(13,564)
სულ	**(1,467,503)**	**(1,843,454)**	**(3,721,512)**

ეკონომიკური საქმიანობიდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფაქტობრივად გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების გრაფიკი



7.1 ავტოსატრანსპორტო საშუალებით მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულება

მაუწყებლის მიერ 2008 წელს სამსახურებრივი საჭიროებისათვის, ავტომანქანებით მომსახურებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ მრავალწლიან ტენდერში, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „იბერია ავტო მარკეტი". აღნიშნული კომპანიის მიერ, სატენდერო წინადადებით ტენდერზე წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა არ შეესაბამებოდა მაუწყებლის მიერ სატენდერო განცხადებით მოთხოვნილ პირობას, რადგან აღნიშნულმა კომპანიამ არ წარმოდგინა მომსახურების დეტალური ხარჯთაღრიცხვა ცალკეული ხარჯების ჩვენებით. ასეთ შემთხვევაში ტენდერი უნდა დასრულებულიყო უარყოფითი შედეგით, ვინაიდან წარმოდეგნილი ხარჯთაღრიცხვა შედგებოდა მხოლოდ ყოველი თვის ფიქსირებული ხარჯისაგან 34,2 ათასი ლარის ოდენობით და დამატებით 1კ/მ გარბენზე დასარიცხი 0,26 ლარისგან (თვეში 18 ავტოსატრანსპორტო საშუალებით 80 000კმ-ის გარბენის პირობებში).

აღნიშნულის მიუხედავად, 2008 წლის 2 ოქტომბერს, მაუწყებელსა და შპს „იბერია ავტო მარკეტ"-ს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 3 წლიანი ხელშეკრულება (N179-24) 18 ავტოსატრანსპორტო საშუალებით, დღეღამეში 24 საათიანი მომსახურების პირობით, რომლის საერთო ღირებულებამ 1 979,6 ათასი ლარი შეადგინა. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულება არ წარმოადგენდა მაუწყებლისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მატარებელ სამართლებრივ დოკუმენტს, რადგან იმ რაოდენობისა და კლასის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შეძენისა (ავტოტრანსპორტის ღირებულება 404,7 ათასი ლარი) და სწორი ექსპლუატაციის პირობებში (საწვავი ხარჯი 409,1 ათასი ლარი, მძღოლების შრომის ანაზღაურება 405,0 ათასი ლარი, სათადარიგო ნაწილები და მომსახურების ხარჯი 123,5 ათასი ლარი), შესაძლებელი იყო 3 წლის განმავლობაში მაუწყებელს დაეზოგა 637,3 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით 2008 წლის ნოემბრის თვიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შპს „იბერია ავტო მარკეტი"-ს მიერ არ ხორციელდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულყოფილად შესრულება, რომლის მიუხედავადაც, მაუწყებელმა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, შპს „იბერია ავტო მარკეტი"-ს მიერ 14 თვის ცალკეულ დღეებში ფაქტობრივად გაუწეველ მომსახურებაზე, ზედმეტად აანაზღაურა 64,4 ათასი ლარი.

7.2 რებრედინგზე გაწეული ხარჯი

2007 წლის 14 დეკემბრს რებრედინგის მომსახურების შესყიდვაზე, მაუწყებლის სატენდერო კომისიის მიერ ჩატარებულ 2 ეტაპიან ინტელექტუალურ საერთაშორისო მრავალწლიან ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა კომპანია „იუნაიტედ სენსი", რომელთანაც 2007 წლის 17 დეკემბერს გააფორმა კონტრაქტი N241-2, ღირებულებით 319,0 ათასი ევროს ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. აღნიშნული ხელშეკრულების პერიოდის დასრულებამდე, 2008 წლის 1 ივლისს, მაუწყებელსა და კომპანია „იუნაიტედ სენსს" შორის გაფორმდა კონტრაქტი N113-8, რომლის თანახმადაც რებრედინგის მომსახურების ნაწილზე, კერძოდ სავაჭრო ნიშნის სტრატეგიაზე, ლოგოს დიზაინზე და საეთერო დიზაინის დამხმარე პროგრამებზე გადახდილი იქნა 25,0 ათასი ევრო. ამდენად მაუწყებლის მიერ რებრედინგის მომსახურების ნაწილზე ხელმეორედ იქნა გაწეული პირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების იდენტური მომსხურებაზე ხარჯი.

8. საოპერაციო ხარჯები

სახ. ბიუჯეტიდან დაფინანსებული საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
მივლინება ქვეყნის შიგნით	(555)	(48,850)	(46,199)
მივლინება საზღვარგარეთ	(338,251)	(404,880)	(808,809)
ფილმების და პროგრამების შეძენა ჩვენება	(1,068,680)	(565,620)	(480,244)
გადაცემის მომსახურება	(280,270)	(1,037,448)	(2,631,458)
ინფორმაციის ღირებულება	(86,036)	(79,804)	(54,912)
ტექნიკური მომსახურება	(1,068,522)	(1,463,539)	(1,230,270)
სატელეკომუნიკაციო მომსახურება	(1,422,495)	(1,568,591)	(1,264,740)
კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება და ინტერნეტი	(109,298)	(84,702)	(106,384)
ტრანსპორტირების ხარჯი	(18,403)	(56,675)	(519,216)
დოკუმენტური ფილმი	(61,589)	-	(4,000)
ევროვიზიის ხარჯი	-	(242,272)	(149,088)
სულ	**(4,454,098)**	**(5,552,382)**	**(7,295,319)**

ეკონომიკური საქმიანობიდან დაფინანსებული საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
მივლინება ქვეყნის შიგნით	(116,084)	(31,378)	(50,075)

მივლინება საზღვარგარეთ	(311,491)	(327,502)	(195,991)
ფილმების და პროგრამების შეძენა ჩვენება	(452,834)	(461,991)	(331,403)
გადაცემის მომსახურება	(207,446)	(284,672)	(129,055)
ინფორმაციის ღირებულება	(5,350)	(8,119)	(2,615)
ტექნიკური მომსახურება	(305,085)	(13,542)	(25,134)
სატელეკომუნიკაციო მომსახურება	(496,315)	(676,598)	(3,059,648)
კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება და ინტერნეტი	(5,483)	(1,118)	(17,769)
ტრანსპორტირების ხარჯი	(22,618)	(30,550)	(7,203)
დოკუმენტური ფილმი	(16,958)	(8,873)	(61,233)
ევროვიზიის ხარჯი	-	(109,517)	(3,860)
ძირითადი საშუალებების ხარჯი	-	(147,790)	-
მოგება ზარალი	-	-	(268,883)
სულ	**(1,939,665)**	**(2,101,651)**	**(4,152,868)**

ეკონომიკური საქმიანობიდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საოპერაციო ხარჯები



8.1 შეძენილი და ეთერში არ გაშვებული გადაცემები

აუდიტის პერიოდში 7 მომწოდებლისგან შეძენილი გადაცემების საერთო რაოდენობიდან, ეთერში არ გავიდა და საზოგადოებისთვის არ იქნა ნაჩვენები 38 გადაცემა, რის შედეგადაც ეთერში არ გასულ გადაცემებზე მაუწყებლის მიერ ზედმეტად გაწეულმა ხარჯმა 179,6 ათასი ლარი შეადგინა. კერძოდ, 2008-2009 წლებში მაუწყებლის მიერ შპს „დღე"-სგან შეძენილი გადაცემებიდან („დიალოგი როლში") ეთერში არ გავიდა 7,1 ათასი ლარის ღირებულების 2 გადაცემა, შპს „ქართული ანიმაციური სტუდიები"-დან შეძენილი გადაცემების („მოკლე ჩართვა") საერთო რაოდენობიდან ეთერში არ გასულა 2,1 ათასი ლარის ღირებულების 1 გადაცემა, შპს „ო-ეს-ბი ინტერნეიშენალი"-სგან შეძენილი

გადაცემებიდან(„მოწყვიტე წამი“) ეთერში არ გავიდა 18,0 ათასი ლარის ღირებულების 4 გადაცემა, შპს „ბასტი-ბუბუ ანიმაცია“-სგან შეძენილი გადაცემების საერთო რაოდენობიდან („სიზმარვიზია“), ეთერში არ გავიდა 13,9 ათასი ლარის ღირებულების 14 გადაცემა, ასევე არარეზიდენტი კომპანია „SPORTFIVE“-სგან შეძენილი ესპანეთის ფეხბურთის ჩემპიონატის 2008-2009 წლების სეზონის მატჩების საერთო რაოდენობიდან (38 მატჩი) არ გავიდა 73,0 ათასი ლარის ღირებულების 9 მატჩი, შპს „ანსამბლი ქართული ხმების“-გან მაუწყებელმა შეიძენა და („ქართული ხმები“) ეთერში არ გაუშვა 8,0 ათასი ლარის ღირებულების 1 გადაცემა, ხოლო შპს „ფეხბურთის მედია უფლებები“-სგან შეძენილი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საფეხბურთო მატჩების ჩვენების უფლების საერთო რაოდენობიდან (56 მატჩი) ეთერში არ გაუშვია 57,6 ათასი ლარის ღირებულების 7 მატჩი.

8.2 გარემწარმოებლებზე ანაზღაურებული თანხები

მაუწყებლის მიერ 2008-2009 წლებში, 8 გარემწარმოებელ და მომსახურე მომწოდებელ ორგანიზაციებზე კანონმდებლობით დადგენილი საშემოსავლო და სოციალური გადასახადის განაკვეთს ზევით, ზედმეტად იქნა ანაზღაურებული 137,6 ათასი ლარი, მათ შორის, ფონდ „ქართულ ხარისხზე“ გადაცემა „ხარისხის ნიშნის“ დამზადებისათვის 9,0 ათასი ლარი, შპს „ვიზარტ სტუდიოზე“ ფილმის „საქართველოს დამოუკიდებლობის 1005 დღის“ დამზადებისათვის 1,3 ათასი ლარი, შპს „ქართული ანიმაციური სტუდიები“-სათვის გადაცემა „მოკლე ჩართვის“ დამზადებისათვის 2,0 ათასი ლარი და გადაცემა „ერისთავის სათვალის“ დამზადებისათვის 21,4 ათასი ლარი, შპს „რადიო უცნობისათვის“ გადაცემა „ნაცნობი მელოდიების“ დამზადებისათვის 9,3 ათასი ლარი, შპს „თბს-ტვ“-თვის, გადაცემა „ავტო-რევიუს“ დამზადებისათვის ზედმეტადაა ანაზღაურებული 4,8 ათასი ლარი, იმავე შპს „თბს-ტვ“-თვის გადაცემა „ცხოვრება მშვენიერია ნინო ქაჯაიასთან ერთად“ დამზადებისათვის 10,9 ათასი ლარი, შპს „სიგმა პლიუსისათვის“ (2008 წელს) გადაცემების „ეტალონი“ და „სტუდენტური პროექტი-დიდი პერსპექტივის“ დამზადებისთვის 5,2 ათასი ლარი და შპს „ჯი ეი ეს ფროდაქშენზე“ გადაცემის „მე მიყვარს ჩემი ქვეყანას“ დამზადებისათვის ზედმეტადაა გადახდილი 40,7 ათასი ლარი. ამასთან შპს „რემშენი“-სათვის 2008 წელს მაუწყებლის კუთვნილ ფართზე განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე, ზედმეტადაა გადახდილი 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმებული სოციალური გადასახადის თანხა 33,0 ათასი ლარი.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტი, ნათლად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ მაუწყებლის მიერ გარეწარმოებით დამზადებული გადაცემების ხარჯთაღრიცხვები არ იყო სათანადოდ დასაბუთებული და მაუწყებლის

მენეჯმენტი ამ მიმართულებით ხარჯების გაწევაზე ვერ ან არ ახორციელებდა სათანადო კონტროლს, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2009 წლის 20 თებერვლის N95 სხდომის ოქმზე თანდართული დასკვნითაც დასტურდება, რომელშიც მითითებულია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის გარეწარმოების სტუდიების მიერ ხორციელდება მაუწყებლის შიდა რესურსების გამოყენების შეუფასებლობა, რაც ზრდის საზოგადოებრივი სახსრების არაადეკვატურად გამოყენების რისკს. ამასთან სამეურვეო საბჭოს დასკვნის მიხედვით გაურკვეველია და ზუსტ განსაზღვრას არ ექვემდებარება კონკრეტული პროექტების თვითღირებულებები.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული და ფინანსური საქმიანობის 2008 წლის ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალურ ანგარიშთან დაკავშირებით, სამეურვეო საბჭოს დასკვნაში შპს „ფორმულა პლიუსის" მიერ დამზადებული ტელესერიალი „მესამე თაობა" (132 ეპიზოდი) ასახულია, როგორც პროგრამულ პრიორიტეტებთან მცირედ თანადი და დაბალი მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოები, თუმცა მხოლოდ მის დამზადებაზე მაუწყებლმა მომწოდებელს გადაუხადა 590,0 ათასი ლარი, ამასთან მაუწყებელმა ხელშეკრულებითვე აიღო საკუთარ თავზე სტუდიის, განათებისა და სხვა კომუნალური, აგრეთვე გადაღების, ჩაწერის და მასთან დაკავშირებული ხარჯები.

აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, 2008-2009 წლებში მაუწყებლის მიერ გარეწარმოებაში გატანილი გადაცემების დასამზადებლად მნიშვნელოვანი სახელმწიფო ასიგნებები იქნა მიმართული, თუმცა კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებით დადგენილი უპირობო მოთხოვნის მიუხედავად, რომ გადაცემის ხარისხის კონტროლის მიზნით თითოეულ გადაცემაზე დადგენილიყო მინიმალური საკონტროლო სარეიტინგო ზღვარი, საზოგადოებრივი მაუწყებლის შესაბამისი სამსახურის მიერ იგი არცერთ პროექტზე არ განხორციელებულა და არც მაუწყებლის მენეჯმენტს განუხორციელებია კონკრეტული ღონისძიებები ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე სათანადო კონტროლის დაუწესებლობისათვის.

ასევე მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს მაუწყებელმა, გადაცემების დიდი რაოდენობა გაიტანა გარეწარმოებაში, იმ მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ გადაცემების შიდა წარმოების შექმნასთან, 2008 წლის 31 დეკემბერს 2007 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, მაუწყებელში მხოლოდ 29 თანამშრომლით ნაკლები მუშაობდა.

8.3 გარემწარმოებლებთან შეცვლილი ხელშეკრულების პირობები

მაუწყებლის მიერ, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით 2008-2009 წლებში, 9 შემთხვევაში მომწოდებლებთან გადაცემებზე გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები შეცვლილია მაუწყებლის ფინანსური შედეგების საზიანოდ. კერძოდ, აღნიშნული გადაცემების დამზადების ყველა ხარჯი თავდაპირველი ხელშეკრულებებით უნდა გაწეულიყო მომწოდებლის მიერ, ხოლო ხელშეკრულებებში შესული ცვლილებებით, მაუწყებელი საკუთარ თავზე

იღებდა სტუდიის და გადაცემის ჩაწერასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. ხელშეკრულებების პირობების შეცვლის მიუხედავად, მაუწყებლის მიერ არცერთ შემთხვევაში არ განხორციელებულა თავდაპირველი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვების მოცულობების შემცირება, მაშინ როცა, შპს „თბს-ტვ"-ს გადაცემა „საქართველოს დიდი ათეულის" დამზადებასა და ჩაწერაზე მაუწყებლის საკადრო პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ 8,4 ათასი ლარი, ხოლო გადაცემის დამზადებაზე გაწეულმა ელექტროენერგიის ხარჯის საშუალო მაჩვენებელმა 2,7 ათასი ლარი შეადგინა, ამასთან მიუხედავად იმისა რომ მაუწყებელმა ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების შედეგად ყველა ძირითადი ხარჯი საკუთარ თავზე აიღო, მომწოდებელს მაინც აუნაზღაურა ეგრეთწოდებული გაუთვალისწინებელი ხარჯი 26,3 ათასი ლარი (7% პირდაპირი ხარჯების). ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოთ მითითებულ გადაცემაზე მაუწყებლის მიერ ანაზღაურებულია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული და 21 თვეზე გაანგარიშებული ჟურნალისტების სახელფასო ფონდი 29,4 ათასი ლარი და 24 თვეზე გაანგარიშებული ბიოგრაფ მოკვლევის ჯგუფის ხელფასის ფონდი 21,6 ათასი ლარი, მაშინ როცა პროექტის ხანგრძლივობა 8 თვეს შეადგენდა. ანალოგიურად გადაცემა „ცხოვრება მშვენიერია ნინო ქაჯაიასთან ერთად" დამზადებასა და ჩაწერაზე მაუწყებლის საკადრო პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ 14,4 ათასი ლარი, ხოლო გადაცემის დამზადებაზე გაწეულმა ელექტროენერგიის ხარჯის საშუალო მაჩვენებელმა 4,6 ათასი ლარი შეადგინა, შპს „ჯი ეი ეს ფროდაქშენ"-ის მიერ გადაცემა „მე მიყვარს ჩემი ქვეყანა" დამზადებასა და ჩაწერაზე მაუწყებლის საკადრო პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ 14,6 ათასი ლარი, ხოლო გადაცემის დამზადებაზე გაწეულმა ელექტროენერგიის ხარჯის საშუალო მაჩვენებელმა 3,2 ათასი ლარი შეადგინა, ამასთან ამავე პროექტზე, მიუხედავად იმისა რომ გადაცემის დამზადება და ჩაწერა ხორციელდებოდა მაუწყებლის კუთვნილ სტუდიაში მისივე ტექნიკური საშუალებებით, მომწოდებელზე ზედმეტად იქნა ანაზღაურებული იჯარის ხარჯი 40,7 ათასი ლარი თანმდევ ხარჯებთან ერთად. შპს „ბასტი-ბუბუ აუდიო"-ს გადაცემა „ბაბილინას საკვირაო სკოლა"-ზე დამზადებასა და ჩაწერაზე მაუწყებლის საკადრო პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ 7,0 ათასი ლარი ხოლო გადაცემის დამზადებაზე გაწეულმა ელექტროენერგიის ხარჯის საშუალო მაჩვენებელმა 0,9 ათასი ლარი შეადგინა და შპს „პოლიტიკური კვირის" მიერ გადაცემა „პოლიტიკური კვირა"-ს დამზადებასა და ჩაწერაზე მაუწყებლის პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ 2,4 ათასი ლარი, ხოლო გადაცემის დამზადებაზე გაწეულმა ელექტროენერგიის ხარჯის საშუალო მაჩვენებელმა 1,3 ათასი ლარი შეადგინა. ამასთან შპს „ქართული ანიმაციური სტუდიების" მიერ გადაცემა „მოკლე ჩართვა" ხელშეკრულების პირობების მიხედვით უნდა დამზადებულიყო მიმწოდებლის შემოქმედებითი ძალებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით, მაშინ, როცა გადაცემის ჩაწერა განხორციელებულია მაუწყებლის სტუდიაში, მაუწყებლის პირველი არხის ტექნიკური ჯგუფის მიერ მაუწყებლისვე ხარჯებით, რაც ხელშეკრულებით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული, თუმცა აღნიშნული გადაცემის ჩაწერაზე მაუწყებლის საკადრო პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ 6,3 ათასი ლარი, ხოლო გადაცემის დამზადებაზე

გაწეულმა ელექტროენერგიის ხარჯის საშუალო მაჩვენებელმა 3,2 ათასი ლარი შეადგინა.

8.4 მივლინებები

აუდიტის პერიოდში მაუწყებლის მიერ არ სრულდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტის[9] მოთხოვნა დაქირავებულისათვის გადასახდელი სამოვლინებო ხარჯების ნორმებთან დაკავშირებით. კერძოდ აღნიშნული ნორმატიული აქტით დამტკიცებულ ნორმების ზევით ადმინისტრაციის ხელმძღვანელ თანამშრომლებზე ანაზღაურებულმა თანხებმა 2007 წელს 9,8 ათასი ლარი, 2008 წელს 21,4 ათასი ლარი, ხოლო 2009 წელს 24,3 ათასი ლარი შეადგინა.

8.5 სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით განხორციელებული შესყიდვების ცხრილი:

წლები	2007		2008		2009	
შესყიდვის ტიპი	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
ტენდერი	8	2,621,486	23	5,411,624	23	2,153,623
ფასთა კოტირება	4	132,945	3	196,180	1	75,580
ეპმ	322	2,092,833	219	1,294,763	311	1,702,052
ექსკლუზივი	43	3,202,190	80	7,251,204	38	2,862,184
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	29	188,242	17	1,472,648	1	6,064
სულ	**406**	**8,237,695**	**342**	**15,626,418**	**374**	**6,799,503**

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით განხორციელებული შესყიდვების ცხრილი:

წლები	2007	2008	2009

[9] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება, „დაქირავებულისთვის გადასახდელი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ".

შესყიდვის ტიპი	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
ტენდერი	22	4,686,710	7	1,038,943	-	-
ფასთა კოტირება	7	283,592	1	27,740	-	-
ეპმ	1,128	1,037,034	703	1,572,852	723	776,032
ექსკლუზივი	14	1,092,118	5	299,267	3	63,156
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	7	173,981	77	799,742	-	-
სულ	**1,178**	**7,273,436**	**793**	**3,738,544**	**726**	**839,188**

2009 წლის განმავლობაში მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით გაფორმდა 1412,0 ათასი ლარის ღირებულების 18 ხელშეკრულება, ხოლო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით როგორც გადაუდებელი აუცილებლობა, გაფორმდა 183,4 ათასი ლარის ღირებულების 1 ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, მაუწყებელს ევალებოდა გამოეყო კოორდინატორი ან თანამშრომელთა შემადგენლობით შეექმნა სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი[10], რაც მაუწყებლის მიერ 2008-2009 წლებში ცალკეულ შემთხვევებში არ იყო განხორციელებული, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაუწყებლისათვის 2008-2009 წლებში გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვაზე არ იყო დაწესებული კანონმდებლობით დადგენილი კონტროლის მექანიზმები.

2007 წლის 19 იანვარს გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნდა სატენდერო განცხადება მაუწყებელის მიერ ინტერნეტის, ვებ-გვერდისა და ვებ-მაუწყებლობის შესყიდვის შესახებ. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტი და შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 78,0 ათას ლარს. ტენდერში მონაწილეობდა ერთი ორგანიზაცია შპს „ჯეონეთი", რომლის მიერაც

[10] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ", დებულების 26-ე მუხლის 1 პუნქტი.

წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულება 1,5 ათასი ლარით აღემატებოდა მაუწყებელის სახელმწიფო შესყიდვების გეგმით ამ კონკრეტული შესყიდვისათვის გამოყოფილ ფინანსურ შესაძლებლობებს და შეადგენდა 79,5 ათას ლარს. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის[11] შესაბამისად ტენდერი უნდა დასრულებულიყო უარყოფითი შედეგით, მიუხედავად აღნიშნულისა, მაუწყებელმა არ გაითვალისწინა კანონის მოთხოვნა და 2007 წლის 15 თებერვლის N4 ოქმით გამარჯვებულად გამოაცხადა შპს „ჯეონეთი" და მასთან 2007 წლის 23 თებერვალს გააფორმა ხელშეკრულება N37-3, თანხაზე - 79,5 ათასი ლარი.

2007 წლის 27 ოქტომბერს გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნდა სატენდერო განცხადება მაუწყებელის მიერ საწვავის მრავალწლიანი შესყიდვის შესახებ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 450,0 ათას ლარს. ტენდერში მონაწილეობდა ორი ორგანიზაცია ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" და შპს „უნიგრუპი". მათ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულება ამ შემთხვევაშიც აღემატებოდა მაუწყებელის სახელმწიფო შესყიდვების გეგმით ამ კონკრეტული შესყიდვისათვის გამოყოფილ ფინანსურ შესაძლებლობებს. ზემოთ აღნიშნულის ანალოგიურად, ამ შემთხვევაშიც ტენდერი უნდა დასრულებულიყო უარყოფითი შედეგით, რაც მაუწყებლის მიერ არ შესრულებულა და გამარჯვებულად გამოაცხადა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" რომელთანაც 2007 წლის 27 ნოემბერს გააფორმა ხელშეკრულება N227-3, თანხაზე 459,4 ათასი ლარი.

2008 წლის 15 იანვარს, მაუწყებელსა და შპს „მაგთიკომს" შორის, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გაფორმდა N5-34 ხელშეკრულება, ღირებულებით 100,0 ათასი ლარი და რომელიც მოქმედებდა 2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით დადგენილი მონეტარული ზღვარის (20,0 ათასი ლარი) დაუცველად, რითაც არ იქნა დაცული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნა[12]. ასეთ შემთხვევაში მაუწყებელს სახელმწიფო შესყიდვა უნდა განეხორციელებინა ტენდერის საშუალებით. აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედება მხარეთა შეთანხმებით შეწყდა 2008 წლის 4 ივლისიდან.

- **მაუწყებლის მიერ საფეხბურთო მატჩებზე გადახდილი თანხები**

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გასამართი საფეხბურთო მატჩებისა და ამხანაგური თამაშების ტრანსლიაციის უფლებებს მაუწყებელი ყიდულობდა შპს „სპორტ მედია ჯგუფი"-სგან, ნაცვლად ამისა

[11] „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[12] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10 მუხლი.

აღნიშნული თამაშების ტრანსლიაციის უფლება სწორად დაგეგმვის პირობებში შეეძლო შეეძინა პირველად წყაროსგან, რაც მაუწყებელს არ განუხორციელებია, რის შედეგადაც მაუწყებელმა უყაირათოდ დახარჯა 139,4 ათასი ლარი.

ქვემოთ მოცემულია მაუწყებლის მიერ საფეხბურთო მატჩების ტრანსლირებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ცხრილი:

ფეხბურთში საქართველოს ნაკრების თამაშები	მატჩის თარიღები	ხელშეკრულების თარიღი მაუწყებელსა და სპორტ მედია ჯგუფს შორის	თანხა (ლარში)	ხელშეკრულების თარიღი სპორტ მედია ჯგუფსა და მომწოდებლებს შორის	თანხა (ლარში)	სხვაობა
შოტლანდია	24.03.2007	14.03.2007	56,778	26.06.2006	59,013	(2,235)
უელსი	20.08.2008	17.07.2008	42,322	2.06.2008	29,041	13,281
იტალია	10.09.2008	09.09.2008	243,000	28.01.2008	208,010	34,990
ირლანდია	11.02.2009	21.01.2009	260,550	12.06.2008	167,237	93,313
კვიპროსი	28.03.2009	21.01.2009		26.09.2008		
ონტენეგრო	10.10.2009	31.03.2009		12.06.2008		
სულ			**602,650**	**სულ**	**463,301**	**139,349**

8.6 ფინანსური ხარჯები

ეკონომიკური საქმიანობიდან გაწეული ფინასნური ხარჯები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

ფინანსური ხარჯები	**2007 წელი**	**2008 წელი**	**2009 წელი**
ჯარიმა, საურავები	(31,509)	(5,821)	(711,952)
ზარალი კონვერტაციიდან	(150)	(12,117)	(1,044)
ბანკის მომსახურება	(14,939)	(23,173)	(395,511)
საბანკო გარანტია	(981)	(1,946)	-
საბანკო კურსთა შორის სხვაობა	(23,900)	(3,096)	(1,045)
კრედიტორების ჩამოწერა	(1,450)	-	-
სულ	**(72,929)**	**(46,153)**	**(1,109,551)**

8.7 სხვა ხარჯები

მაუწყებლის მიერ საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული სხვა ხარჯების ცხრილი შემდეგი მუხლებისგან შედგება

სხვა ხარჯები	**2007 წელი**	**2008 წელი**	**2009 წელი**
სარეკლამო-საინფორმაციო მასალების განთავსება	(22,862)	(32,418)	(15,033)
განბაჟების ხარჯი	(77)	(73)	(1,097)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(10,546)	-	(5,887)
სხვადასხვა	(689,533)	(494,048)	(514,235)
პრიზები	-	(5,057)	(7,855)
სახელმწიფო პრემია	-	-	(600)

ლიზინგი	-	-	(8,343)
ჩაუთვლელი დღგ პროპორციით	-	-	(1,708,042)
სულ	**(723,018)**	**(531,595)**	**(2,261,093)**

მაუწყებლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან დაფინანსებული სხვა ხარჯების ცხრილი შემდეგი მუხლებისგან შედეგება

სხვა ხარჯები	**2007 წელი**	**2008 წელი**	**2009 წელი**
ხარჯები გრანტით მიღებული თანხებით	(196,196)	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	(54,885)	(52,289)	(4,729)
მოსკოვის წარმომადგენლობა	(25,966)	(21,847)	(289)
პრიზები	(134,718)	(174,534)	(91,040)
სასამართლოს მიერ დაკისრებული	-	-	(21,078)
სარეკლამო-საინფორმაციო მასალების განთავსება	(23,620)	(105,069)	(203,409)
განბაჟების ხარჯი	(6,129)	(7,443)	(5,211)
სხვადასხვა	(256,827)	(338,014)	(181,720)
იპოთეკის რეგისტრაცია	(50)	-	-
ჩაუთვლელი დღგ პროპორციით	-	-	(676,398)
სხვა ხარჯები	-	-	(143,591)
სულ	**(698,392)**	**(699,197)**	**(1,327,465)**

8.8 საბიუჯეტო კლასიფიკატორთან შეუსაბამობის ფაქტები

2009 წლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ 15,8 ათ. ლარის ძვირადღირებული პროფესიონალური სატელევიზიო აუდიო-ვიდეოპლატები და მინი კონვერტორი (ერთეულის ღირებულება შესაბამისად 2,6 ათასი და 1,4 ათ. ლარი), კომპიუტერული მოწყობილობა, კერძოდ, პროცესორი ღირებულებით-3,5 ათასი ლარი (ერთ. ღირებულება 0,7 ათასი ლარი) ნაცვლად არაფინანსური აქტივების შესაძენად გამოყოფილი ასიგნებებისა შეძენილია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის სუბსიდიების მუხლიდან, ხოლო 1,4 ათასი ლარის ღირებულების სავარძლები (ერთ. ღირებულება 455 ლარი) და 0,5 ათასი ლარის ღირებულების მობილური ტელეფონები (ერთ. ღირებულება 136 ლარი), ნაცვლად სუბსიდიის მუხლისა, შეძენილია არაფინანსური აქტივების დასაფინანსებლად გამოყოფილი ასიგნებებიდან. რის შედეგადაც აღნიშნული ხარჯები წარმოადგენს მოქმედ საბიუჯეტო კლასიფიკატორთან შეუსაბამო ხარჯს.

2008 წლის დეკემბრის თვეში შპს „იბერია ავტო მარკეტი"-ს, შპს „ჯეოსელი"-ს და შპს „ინტერტური"-ს მიერ, მაუწყებლისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში ვალდებულებების რეგისტრაციის გარეშე გაწეული მომსახურების ღირებულებები შესაბამისად 41.6 ათასი ლარი, 18.9 ათასი ლარი და 16.2 ათასი ლარი, აგრეთვე არარეზიდენტ კომპანია „SPORTFIVE international"-ზე 2008 წელს გადაუხდელი 149.6 ათასი ლარი მაუწყებლის მიერ 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო

სამსახურში წარდგენილ ვალდებულების დოკუმენტებში არასწორადაა დაფიქსირებული, როგორც მიმდინარე 2009 წლის ხარჯი (გადასახდელი) და ოთხივე საწარმოზე დავალიანების მთლიანი თანხის 226.3 ათასი ლარის დაფარვა მაუწყებლის მიერ განხორციელებულია არა 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ვალდებულებების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე, არამედ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების საპირისპიროდ, მაუწყებლისათვის 2009 წელს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის სუბსიდიების მუხლით (სამ შემთხვევაში) და არაფინანსური აქტივების გადასახდელების დასაფინანსებლად (ერთ შემთხვევაში) გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე საბიუჯეტო კანონმდებლობით დადგენილი ასიგნებების მიზნობრიობის დაუცველად.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2009 წლის 16 ოქტომბრამდე სრულად განახორციელა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების და მოცულობის შესაბამისად. აღნიშნულის მიუხედავად მაუწყებლის 2009 წლის 16 ოქტომბრის N3432/01 წერილისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანხმობის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტში (წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების განხორციელებამდე), 2009 წლის 20 ოქტომბერს შედგა ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N574, მაუწყებლის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის სუბსიდიების მუხლიდან არაფინანსური აქტივების გადასახდელების ნაწილში 800.0 ათასი ლარის გადატანის თაობაზე, რაც არ იყო შესაბამისობაში საბიუჯეტო კანონმდებლობის მოთხოვნებთან[13]. ამასთან მაუწყებლის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილ წერილშივე მითითებული იყო, რომ განხორციელებული ცვლილებების მოცულობა აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ ოდენობას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს იმ გარემოებებზე, რომ აუდიტის პერიოდის ცალკეულ წლებში მაუწყებლის მენეჯმენტი არ ხორციელდებოდა სწორი მიმართულებით, არ იყო შემუშავებული და დანერგილი შიდა კონტროლის ის მექანიზმები, რომელიც გამორიცხავდა ან მინიმუმამდე შეამცირებდა სხვადასხვა ფინანსური რისკების არსებობას, ამასთან სტრუქტურულ ერთეულებს შორის არ ხორციელდებოდა კოორდინირებული საქმიანობა. ხოლო მაუწყებლის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა საერთოდ ვერ უზრუნველყოფდა ფინანსური რისკების შემცირების ან გამორიცხვის შემთხვევებს. აუდიტის პერიოდის განმავლობაში, მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულები, ფუნქციონირებდნენ მაუწყებლის 2006 წლის 29 მარტის ბრძანებით დამტკიცებული დებულებებით, რომლებშიც, მიუხედავად არაერთგზის განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებისა, აღნიშნულ დებულებაში ცვლილებები არ შესულა, ასევე არ განუცდია ცვლილებები აღნიშნულ

[13] „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის 51³ მუხლის 1 პუნქტი.

დებულებებს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის გაუმჯობესების ან დახვეწის კუთხით. მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ არ იყო დაწესებული სათანადო კონტროლი კონტრაგენტებთან დადებული ხელშეკრულებებით (მემორანდუმების, შეთანხმებების) გათვალისწინებული პირობის შესრულებაზე და ზოგიერთ შემთხვევაში მათთან ფინანსური ანგარიშსწორებისას ვერ საზღვრავდა გასაწევი ხარჯის მართებულობას.

ზემოაღნიშნული საკითხების მიმართებაში, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მაუწყებლის 2007 და 2008 წლების ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტი ჩატარებული აქვს შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯიას" (სახელშეკრულებო ღირებულება შესაბამისად 47,0 და 70,0 ათასი ლარი), ხოლო 2009 წლის ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტი კი ჩატარებული აქვს შპს „იუ-ბი-სი ინთერნეიშენალი"-ს (სახელშეკრულებო ღირებულება 47,2 ათასი ლარი), რომელთა დასკვნებიც არ მოიცავს იმ უზუსტობებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფაქტობრივი მდგომარეობით მაუწყებლის აღრიცხვა-ანგარიშგებებში. შესაბამისად, მიუხედავად მაუწყებლის მხრიდან აღნიშნული აუდიტორულ კომპანიების მომსახურებაზე გაწეული სოლიდური ხარჯისა, მომწოდებლებმა ვერ უზრუნველყვეს სათანადო ხარისხის მომსახურების მიწოდება.

8.9 ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და მიზნობრივად ხარჯვის მდგომარეობა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის N749 განკარგულებით მაუწყებელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 1000,0 ათასი ლარი რომლის ხარჯვაც კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა 1 პირთან მოლაპარაკების საშუალებით თუმცა წლიურ საბიუჯეტო კანონში 2009 წლის 4 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად მაუწყებელს გამოეყო 1000,0 ათასი ლარი, რომლის ხარჯვაზეც ფინანსთა სამინისტროს მიერ 2009 წლის 8 დეკემბერს დაშვებულ იქნა ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა, ხოლო 2009 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა ჩაითვალა გაუქმებულად. შედეგად მითითებული ასიგნება, ანგარიშგებაში აღირიცხა როგორც მიმდინარე ხარჯების კატეგორია (2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის N749 განკარგულება დღემდე არ არის გაუქმებული), რომლითაც განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები უნდა დაქვემდებარებოდა შესყიდვების კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს.

8.10 ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების შესყიდვა

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაუწყებელი 2007-2008 წლებში ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების შესყიდვის დაგეგმვასა და მათ შეძენას არ ახორციელებდა სათანადო დასაბუთებისა და მათი გამოყენების საჭიროებიდან გამომდინარე, რის შედეგადაც, შეძენილი აქტივების გარკვეული ნაწილი წლების განმავლობაში ინახებოდა მაუწყებლის საწყობში, ხოლო გარკვეული ნაწილი 2010

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთოდ არ იყო გაცემული საწყობიდან. სულ 2007-2008 წლებში მაუწყებლის მიერ შეძენილმა და მაუწყებლის საწყობიდან 1 წელზე მეტი ვადით გაცემულმა და გაუცემელმა ძირითადმა აქტივებმა და მატერიალურმა მარაგების ღირებულებამ, 247,3 ათასი ლარი შეადგინა.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2007 წლის 3 აპრილს მაუწყებლის მიერ შპს „ინდენტისაგან" შეძენილ იქნა 28,0 ათასი ლარის ღირებულების 800 ცალი ვიდეოკასეტა მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული ვიდეო კასეტების საერთო რაოდენობიდან 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ იყო გაცემული 379 ცალი ვიდეოკასეტა, 2008 წლის 5 მარტს შპს „ჯი-თი-ეი"-სგან შეძენილ იქნა იგივე ტიპის 250 ცალი ვიდეოკასეტა ღირებულებით 6,7 ათასი ლარი, რომელთა გაცემაც 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საერთოდ არ განხორციელებულა.

9. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:

მთავარი აუდიტორი
(ჯგუფის ხელმძღვანელი)
ნოდარ ვეკუა

აუდიტორები:
ბესიკ ფერაძე

მირიან ჯორჯიაშვილი